ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 28 – 29 მაისი, 2016 | №125 (7051) | ფასი: 50 თეთრი

სააკაშვილი: „უკრაინის პროკურატურას კრამიტი დაუცურდა“

გვ.7

„ნაციონალებმა კორცხელში 440 ათასი ლარი დახარჯეს“

გვ.3

კახა კუკავა: „ოცნების“ დამარცხება გარდაუვალია“

თამაზ მეჭიაური: „თამარ კორძაიას სექსს არავინ აუკრძალავს“

გვ.2

თამარ კორძაია: „ხვალ დაადგენენ, ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი კავშირი თვეში რამდენჯერ უნდა იყოს“

რას აკეთებდა ზაქარია ქუცნაშვილი მოსკოვში

გვ.7

გვ.5

მანუჩარ მაჩაიძე: „უნდა მოხდეს შეთანხმება სექსუალურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის“

„სააკაშვილისა და მისი პარტიის დაბრუნება ნერონისა და კალიგულას მმართველობის დაბრუნებას ნიშნავს“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ვინც მონაწილეობდა კორცხელის ინციდენტში, ყველა სამაგალითოდ დასასჯელია“

ISSN 1987-9385

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ერთადერთი რესურსი ივანიშვილია“

გვ.4

პაატა ზაქარეიშვილი: „ვინც მონაწილეობდა კორცხელის ინციდენტში, ყველა სამაგალითოდ დასასჯელია“

ნონა ცაბაძე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით პროკურატურის განცხადებას ეხმიანება, სადაც საუბარია ყველა მონაწილის დაკითხვაზე და აცხადებს, რომ სათანადოდ უნდა დაისაჯოს კორცხელის ინციდენტის ყველა მონაწილე, ვინც ამ ცემა-ტყეპაში მონაწილეობა მიიღო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებაში აზრი ორად იყოფა. ნაწილი დამნაშავეებს ამართლებს და სასჯელს უმსუბუქებს, ნაწილი კი მათ კატეგორიულ და სამაგალითო დასჯას ითხოვს. პაატა ზაქარეიშვილი მათ რიგებშია, ვინც დამნაშავეების დასჯას მოითხოვს.

ის „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

— ბატონო პაატა, თქვენ დამნაშავეების დასჯას ითხოვთ და აპირებენ კი სამართალდამცავი ორგანოები მათ დასჯას, ვინც ეს მუშტი-კრივი მოაწყო?

— ჩემი პოზიცია ასეთია, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ.

— ორივე მხარეზეა საუბარი?

— მე არ ვიცი, რამდენი მხარე არსებობს, ეს გამოძიების საქმეა. რამდენ მხარესაც არსებობს დამნაშავე, ყველა დასასჯელია. იქ არ ვყოფილვარ, ვინ რომელ მხარეს წარმოადგენს, არც ის ვიცი. კადრები რაც გავრცელდა, ეს არის ამაზრზენი! საშინელებაა, რომ ადამიანები საარჩევნო უბანზე გამეტებით სცემენ ერთმანეთს.

— პროვოკაციაზე საუბრობენ, ვინ იყო ამის ინიციატორი? ან მოჭიდავეები რატომ იყვნენ საარჩევნო უბანზე?

— მე არც ერთს ვიცნობ, არც მეორეს და არც მეათეს. არ ვიცი, ვინ ვინ არის. ფაქტია, რომ ეს არის ყოვლად სამარცხვინო, დაუოკებელი ფაქტი არჩევნების კონტექსტში. ეს ძალიან ცუდად მოუტრიალდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საზოგადოებას და სახელმწიფოს, თუ არ დაისაჯნენ ის პირები, ვინც ამ ცემა-ტყეპაში ღებულობდა მონაწილეობს.

— ანუ თქვენ იმ მოჭიდავეების დასჯას ითხოვთ?

— მე არ ვიცი, ვინ სცემდა, რისთვის სცემდა ან ვის სცემდა. ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. არსებობს პროკურატურა, არსებობს სასამართლო, ეს საქმე უნდა იქნას გამოძიებული და დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც იქ ასეთი ამბავი დაატრიალა.

— ამ კუთხით კანონის გამკაცრებას თუ უჭერთ მხარს?

— რა თქმა უნდა! მე ვფიქრობ, რომ კანონი საკმაოდ მკაცრი უნდა იყოს. თუმცა დღევანდელი კანონიც იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს ხალხი დაისაჯოს.

— ფიქრობთ, თუ ყველამ სათანადო პასუხი არ აგო და კანონი არ გამკაცრდა, ოქტომბერში უარესი მოხდება?

— შეიძლება სხვებს ჭკუა ეყოთ და ეს აღარ გაიმეორონ, მაგრამ ის ხალხი, ვინც იქ მონაწილეობდა, მაინც დასასჯელია. გინდ განმეორდეს და გინდ ნუ გამეორდება. მე მიმაჩნია, რომ თუ არავინ დაისაჯა, ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს იმას, რომ სხვებმაც მიბაძონ ამ მოვლენას. ეს მათ წაახალისებს. თუმცა მგონია, რომ სწორედ ეს იქნება გაკვეთილი მათთვის, ვინც აპირებს, არჩევნებში კანონით დადგენილ ჩარჩოებს გადაუხვიოს.

— არეულობას ელით არჩევნებზე?

— დარწმუნებული ვარ, არჩევნები კარგად ჩაივლის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც უნდა ჩაიაროს არჩევნებმა, ვინც მონაწილეობდა კორცხელის ინციდენტში, ყველა დასასჯელია! ეს დასჯა უნდა იყოს სამაგალითო, რომ სხვამ ველარ გაბედოს მსგავსი უკანონობის ჩადენა!

— გაქვთ ობიექტური გამოძიების იმედი?

— მაქვს. მთავრობის წევრი ვარ და რომ არ მქონდეს ობიექტური გამოძიების იმედი, არც მთავრობის წევრი ვიქნებოდი.

— დღეს მხოლოდ ცალი მხარის ბრალეულობაზე საუბრობენ, ოპოზიცია ხელს მოჭიდავეებისკენ იშვერს და თქვენი პოზიცია როგორია, მხოლოდ ერთი მხარეა დამნაშავე?

— მე ოპოზიცია არ ვარ, მე წარმოვადგენ მთავრობას და ჩემი პოზიცია ასეთია, რომ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კი დამნაშავეა.

თამაზ მეჭიაური: „თამარ კორძაიას სექსს არავინ აუკრძალავს“

თამარ კორძაია: „ხვალ დაადგენენ, ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი კავშირი თვეში რამდენჯერ უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანომ, როგორც იქნა, საშველი დააყენა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას. საუბარია კონსტიტუციაში ქორწინების ცნების განსაზღვრის შეტანაზე. ამ ცვლილებების ინიციატორი 80 დეპუტატია. საკონსტიტუციო ცვლილების შესატანად კი 113 დეპუტატის ხმაა საჭირო.

„ქართულ ოცნებაში“ იმედი აქვთ, რომ 113 ხმის მოგროვებას შეძლებენ. თუმცა პარლამენტში ეჭვობენ, რომ მათ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმები მოაგროვონ. ნაციონალები და რესპუბლიკელები ამ ცვლილებებს მხარს არ უჭერენ.

27 მაისს ეს საკითხი პირველი მოსმენით განიხილეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, მას სერიოზული დებატები მოჰყვა. დებატები კიდევ უფრო ცხარე იქნებოდა, სხდომათა დარბაზში ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ. ნაციონალებმა საპარლამენტო საქმიანობა პროტესტის ნიშნად დროებით შეწყვიტეს. ამის გამო ცვლილებების დაგმობა რესპუბლიკელებს მარტოს მოუხდათ.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თამარ კორძაია ჟურნალისტებთან აცხადებს, რომ ამ ცვლილებებზე მუშაობა უსაქმურობაა.

დეპუტატი შიშობს, რომ კანონპროექტის ავტორებმა მალე შესაძლოა ისიც განსაზღვრონ, თუ რამდენჯერ შეიძლება ცოლ-ქმარს თვეში სექსი ჰქონდეს.

— ახლა რაც ხდება პარლამენტში, არის უსაქმურობა, რადგან აბსოლუტურად არასაჭირო კანონზე მსჯელობა ხდება, მით უმეტეს, რომ არ არის მისაღები ის ფორმა, რა ფორმითაც და ტექსტებითაც საუბრობს მოხსენებელი. უბრალოდ, მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ამ პროექტის ინიციატორები ხვალ დაადგენენ, ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი კავშირი თვეში რამდენჯერ უნდა იყოს, — განაცხადა თამარ კორძაიამ.

კორძაიას შეშფოთებას უსაფუძვლოს უწოდებს დეპუტატი თამაზ მეჭიაური. გარკვეული შიშები მასაც აქვს, ოღონდ არა სექსის რაოდენობასთან დაკავშირებული.

მისი განცხადებით, კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ უმრავლესობა რესპუბლიკელების ჭკუაზე არ ივლის.

— ქალბატონ თამარს ნამდვილად არავინ უშლის სექსს, რაოდენობას თვითონ დაადგენს. რაც შეეხება პარლამენტს, ნამდვილად არ ვართ ჩვენ უსაქმურები, რომ ქალბატონი თამარის ჭკუაზე ვიაროთ და დანარჩენი საკითხები მას შევუთანხმოთ. ამის ფორმულირება აუცილებელია, რომ ზოგიერთ ლიბერალს არ გაუჩნდეს მისი სხვანაირად ინტერპრეტირების საშუალება, — განაცხადა მეჭიაურმა ჟურნალისტებთან საუბარში.

განცხადება კორძაიას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავქალმა ეკა ბესელიამაც დაუგმო. მან კოლეგას მოუწოდა, კანონპროექტებთან დაკავშირებით უფრო კორექტული განცხადებები გააკეთოს.

— მე მოვუწოდებ თამარს, კოლეგებისა და პარლამენტში მიმდინარე განსახილველი საკითხების მიმართ უფრო კორექტული იყოს. თუ ეს პროცესი მიაჩნია მას უსაქმურობის დემონსტრირებად, მაშინ, როდესაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ ჩანაწერის გაკეთება კონსტიტუციაში კარგი იქნება, ეს ნიშნავს, რომ შეურაცხმყოფელი ფორმით მივმართავთ იმ ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ჩანაწერი კარგია.

მეტი კორექტულობა იქნებოდა უკეთესი. ყველამ ძალიან გულწრფელად უნდა გამოხატოს პოზიცია და აქ პოლიტიკური კეკლუცობა საჭირო არ არის. ჩვენი პოზიცია პრინციპულია და კენჭისყრა წარმოაჩენს, ვის რა პოზიცია და დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

ნუკრი ქანთარიას თქმით, არსად და არცერთ სფეროში ერთისა და იმავე სქესის მიმართ ლტოლვას არ ჰქონია თანაგრძნობა. ამის დასადასტურებლად მან შექსპირიც კი მოიყვანა.

— არასდროს ყოფილა „რომეო და რომეო“, „ჯულიეტა და ჯულიეტა“, რატომ არ შეიძლებოდა, მაშინ ასე ყოფილიყო? „იზოლდა და იზოლდა“, „ტრისტანი და ტრისტანი“ და ა.შ. არ დამდგარა ეს საკითხი მე-20 საუკუნის ბოლომდე და 21-ე საუკუნის დასაწყისამდე. მერე უკვე წამოვიდა ეს ტენდენციები ხელოვნებაში და, დღეს თუ გადავხედავთ ევროპულ და ამერიკულ თუნდაც კინემატოგრაფიასა თუ მხატვრობას, იქ უკვე თითქმის შეუძლებელია, ერთი შტრიხი მაინც არ იყოს ამგვარი.

ტენდენციები და ინტერპრეტაციები უკვე აქეთკენაა წასული, რომ შეიძლება „რომეო და რომეო“, „ჯულიეტა და ჯულიეტა“. მიუხედავად ამისა, ეს არ იწვევს თანაგრძნობას, იმიტომ, რომ ეს არ არის ბუნებრივი, ეს არის გადახრა, ეს არის ზოგჯერ წამხედურობა, ზოგჯერ სენი, ეს არ არის ორგანული, — განაცხადა დეპუტატმა ქანთარიამ.

ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილმა მეოცნებეებს კანონპროექტი დაუთარსა. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ კანონპროექტის 80 ინიციატორიდან მის განხილვას მხოლოდ 13 კაცი ესწრებოდა.

ბერძენიშვილმა „ქართულ ოცნებას“ სიმშვიდისკენ მოუწოდა და ურჩია, შეეგუონ იმ აზრს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო 113 ხმას ამ მოწვევის პარლამენტში ვერ მოაგროვებენ.

— ამ მოწვევაში 113 ხმა არ იკრიბება და კენჭისყრაზე საკითხი ვერ დადგება. ძიძიგურმა დაადასტურა, რომ საკითხი კენჭისყრაზე ვერ დადგება. ამას ვგულისხმობდით, როცა საკითხის არსში შესვლის გარეშე და პროცედურული თვალსაზრისითაც გეუბნებოდით, რომ ეს საკითხი ამ მოწვევის პარლამენტში ვერ იქნება მიღებული და ინიცირებას პოლიტიკური ხასიათი აქვს.

ამ საკითხის წამოწევა წინასაარჩევნო კონტექსტში არ ვარგა. საქართველოში ამ საკითხის გადახედვის მოთხოვნა არ დგას და პრობლემას იქ ნუ ვეძებთ, სადაც არ არის, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მას კარგად ესმის ზოგიერთი პოლიტიკოსის, რომელიც ამ კანონპროექტს მხარს პოლიტიკური მოტივაციით უჭერს.

— მესმის, რომ ეს ანტიდასავლელ, მარგინალ და პრორუსულ ჯგუფებს პოპულისტობისთვის არ დავუტოვოთ, მაგრამ ამას პარლამენტი ვერ იღებს. ამიტომ ჩემი თხოვნა და სურვილია, ამ საკითხს ძალიან აქტუალურ საარჩევნო პროპაგანდისტულ თემად ნუ ვაქცევთ, რაც დაძაბავს ურთიერთობას და ეს იქნება ქარიშხალი ჭიქაში.

ამომრჩეველთან პატიოსანი უნდა ვიყოთ. პენსია რომ ვერ გავზარდე, ამიტომ ქაღალდზე, კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრა სწორად არ მიმაჩნია. წინასაარჩევნო თემატიკაში ამ საკითხის შემოტანა სწორად არ მიმაჩნია. დღევანდელ და მაშინდელ ვითარებას შორის სხვაობაა, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს იყო. მაშინ ასეთი დეკლარირებული რუსული ჯგუფები და მოძლიერებული ანტიდასავლური ფლანგი არ იყო. მოგიწოდებთ, უნებურად მათ წის-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბაძე

„ნაციონალებმა კორცხელში 440 ათასი ლარი დახარჯეს“

კახა კუკავა: „ოცნების“ დამარცხება გარდაუვალია“

თავისუფალი საქართველოს ღიდერი ჯახა ჯუკავა მიიჩნევს, რომ „ოცნება" იმაზე აღრე დაკარგავს ხელისუფლებას, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. ოპოზიციონერი დარწმუნებულია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ოქტომბრის არჩევნებზე უმრავლესობას ვეღარ მოიპოვებს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ოქტომბერში დასრულდება ეს ხელისუფლება?

– მე ადრე ვფიქრობდი, რომ ეს 2017 ან 2018 წელს მოხდებოდა, თუმცა კორცხელის მოვლენებმა დამარწმუნა, რომ შესაძლებელია პროცესები დაჩქარდეს.

– რატომ, ასეთი რა მოხდა კორცხელში?

– იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ჩვენ დავინახეთ სრული მზადყოფნა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომელმაც მხოლოდ სოფელ კორცხელში 440 ათასი ლარი დახარჯა და ეს მონაცემები უკვე დაიდო ცესკოს საიტზე.

– მხოლოდ ამ ერთ სოფელში?

– დიახ, მხოლოდ ამ სოფელში. ჩაიყვანეს თავიანთი პოლიტიკური ღიდერები და ყველანაირად დაადასტურეს, რომ იდეალურად იყვნენ მზად კორცხელის არჩევნებისთვის და არა მხოლოდ არჩევნები მოიგეს, არამედ სრულიად მოუგეს ხელისუფლებას პიარი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

მეორე მხრივ, გამოჩნდა სრული უსუსურობა ხელისუფლების მხრიდან. მათ წააგეს არჩევნები, წააგეს პიარი. ბრძოლაში ყველას შეიძლება მოუვიდეს მარცხი, მაგრამ, თუ ჯანსაღი ორგანიზმი და რაციონალური პოლიტიკური ძალაა, შეცდომას უნდა მოაყოლოს შესაბამისი ანალიზი. თუმცა ესენი აგონიაში არიან და, პირიქით, შეცდომების კასკადი გრძელდება.

– რას გულისხმობთ შეცდომების კასკადში?

– ჯერ ერთი, რომ ამართლებდნენ ამ ინციდენტს და ამბობდნენ, რომ ეს ნორმალური მოვლენაა. მერე ძლივს გამოძიება დაიწყო შს სამინისტრომ. ქუჩის ელემენტების შედეგად იქ პატარა აქცია გაიმართა და ესეც შეჩერდა. ხელისუფლებას ეს ძვირად დაუჯდება, ისე, როგორც ძვირად დაუჯდა შევარდნაძეს და ისე, როგორც 26 მაისი ძვირად დაუჯდა სააკაშვილის რეჟიმს.

– გამოდის ინფორმაციები, რომ არც შიგნით აქვთ საქმე კარგად. საუბარია პრემიერისა და კალაძის დაპირისპირებაზე. ამაზე რას იტყვით?

– ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მე იმიტომ მომყავს შევარდნაძისა და სააკაშვილის მაგალითები, განსაკუთრებით შევარდნაძის, რომ ის შეცდომები, რომლებიც მის ხელისუფლებას ჰქონდა ბოლო სამი წლის განმავლობაში, თითქმის ყველა სიმპტომი მეორდება დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. როდესაც შევარდნაძე ბოლო პერიოდში ჩამოსცილდა მოქალაქეთა კავშირს, იქ არ იყო გამოკვეთილი ლიდერი და დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა, რამაც პრაქტიკულად დაასრულა კიდეც ის რეჟიმი, იმიტომ, რომ მათ არ ჰყავდათ ერთიანი ლიდერი. ზუსტად იგივე ხდება დღესაც.

– რატომ, „ოცნებას“ ხომ ჰყავს ლიდერი?

– ბიძინა ივანიშვილმა ფორმალურად დისტანცირება მოახდინა „ქართული ოცნებისგან“, სხვა გამოკვეთილი ლიდერი კი „ოცნებას“ არ ჰყავს. ბუნებრივია, შიდა სხვადასხვა ჯგუფს შორის მიმდინარეობს კონკურენცია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება „ქართული ოცნების“ დამარცხებაში. პოლიტიკური ძალა, რომელსაც არ ჰყავს მკაფიოდ გამოკვეთილი ლიდერი, ვერასდროს გაიმარჯვებს.

– ახალი გადათამაშებისთვის ემზადება ბიძინა ივანიშვილიო და რა შეიძლება, რომ შემოგვთავაზოს მან?

– შეიძლება მან შემოგვთავაზოს საინტერესო კომბინაცია, მაგრამ სტრატეგიულად „ქართულმა ოცნებამ“ უკვე წააგო. 2012 წლისგან განსხვავებით, აღარც ქართველ ხალხს სურს, რომ ეს ხელისუფლება იხილოს შემდეგი ვადით. ქართველ ხალხს სერიოზულად გაუცრუვდა იმედები და ამ პროცესში აღარაფერი შეიცვლება. „ოცნების“ რეიტინგი მუდამ წავა კლებისკენ, სანამ ნულს არ გაუტოლდება.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კრიტიკა დასავლეთიდანაც იზრდება და არა მგონია, ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე ან ძალადობაზე დასავლეთმა თვალი დახუჭოს.

– სააკაშვილმაც უმატა განცხადებებს, რომ აუცილებლად ჩამოვა და არჩევნებს მოიგებს. რა ხდება, რისი იმედი აქვს?

– სააკაშვილს აქვს ამის გამოცდილება, 2003 წლის გამეორება უნდა და ეს არის საფრთხე ქვეყნისთვის. ასევე საფრთხეა ის, რომ მისი შემაკავებელი ძალა არ არსებობს. ეს ბრძოლა ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის როგორ დამთავრდება, ამის პროგნოზირება ადვილია.

– და როგორ დამთავრდება?

– რა თქმა უნდა, მოიგებენ ნაციონალები! ერთადერთი, ვისაც შეუძლია, ამ ბრძოლაში გარდატეხა მოახერხოს, არის ამომრჩეველი, თუკი ქართველ ხალხს ეყოფა ძალა, რომ გამოფხიზლდეს და მხარი დაუჭიროს მესამე პოლიტიკურ ცენტრს.

– და სად არის ეს მესამე პოლიტიკური ცენტრი?

– რასაკვირველია, თუკი ასეთი პოლიტიკური ცენტრი შეიქმნება. მხოლოდ მესამე პოლიტიკურ ცენტრს შეუძლია, ქვეყანას ააცილოს სააკაშვილის დაბრუნება ხელისუფლებაში!

– სხვა შემთხვევაში გარდაუვალია?

– დიახ. „ქართულ ოცნებას“ ეს ბრძოლა უკვე წაგებული აქვს.

– როდესაც ერთ უბანზე ამხელა დაპირისპირება მივიღეთ, რას ელოდებით ოქტომბრის არჩევნებისგან?

– ამ არჩევნებისგან კარგს არაფერს ველოდები. ველი ყველაფერ ცუდს, განსაკუთრებით – არჩევნების შემდგომ პერიოდში. ეს ყველაფერი ქვეყნის იმიჯს დააზარალებს. განსაკუთრებით ეს დააზარალებს ქართულ ეკონომიკას. ჩვენნაირ ქვეყნებში ეკონომიკა ძალიან მგრძნობიარეა პოლიტიკური პროცესების მიმართ. აუცილებლად იქნება ეკონომიკური ვარდნა, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეექმნა ისეთი კონსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ რყევებს არ იწვევს.

თამაზ მეჭიაური: „თამარ კორძაიას სექსს არავინ აუკრძალავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ქვილზე წყალს ნუ დავასხამთ, – მიმართა ბერძენიშვილმა უმრავლესობას.

სულ სხვანაირად უყურებს ამ საკითხს მრეწველთა ერთ-ერთი ღიდერი ზურაბ ტყემალაძე. მისი თქმით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნაა, რომ ქორწინების თაობაზე კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი და დაზუსტდეს, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია.

ტყემალაძეს სჯერა, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდასაჭერად 113 კაცი აუცილებლად მოგროვდება.

– წინასწარ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მაინც ვერ გავაკეთებთ და არ გავაკეთოთ, ვერ გადავხტები და არ გადავხტე, მაინც ვერ გავიქცევი და არ გავიქცე. უნდა ვეცადოთ და გავაკეთოთ. სწორედ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, ერთმანეთი დავარწმუნოთ იმაში, რომ ეს ინიციატივა უნდა გავიდეს. ეს უნდა იყოს ჩვენი მონდომება. თუნდაც ამ ერთ საკითხზე ყველა გავერთიანდეთ, ოპონენტებსაც ვთხოვოთ მოსვლა და დავუჭიროთ ამას მხარი, – განაცხადა ტყემალაძემ.

დეპუტატის თქმით, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საყოველთაო განხილვები მიმდინარეობდა, მოსახლეობის უმეტესობამ დააფიქსირა, რომ მიუხედავად იმისა, დღევანდელი პარლამენტი ამ ცვლილებას მიიღებს თუ არა, მაინც უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი აღნიშნულ საკითხზე. ტყემალაძემ ასევე აღნიშნა, რომ მისი ფრაქცია მხარს უჭერს რეფერენდუმის ჩატარების ინიციირებას.

– ყველამ ვიცით, რომ სამივე მოსმენით ამ საკითხს ვერ მიიღებს ჩვენი პარლამენტი, მაგრამ აქ ლაპარაკია პირველ ნაბიჯზე, მონდომებაზე, სურვილზე, ხალხის მიმართ იმის დამტკიცებაზე, რომ, ხალხო, თქვენს პოზიციაზე ვართ ნამდვილად. აუცილებელია ამ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. ეს არის ჩვენი მოქალაქეების, ყველას მოთხოვნა და ჩვენ ეს მოთხოვნა უნდა შევასრულოთ. ეს ჩვენი ვალდებულებაა, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

* * *

ქორწინებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ჩაწერის ინიციატივით თავის დროზე ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა. თუმცა მისი პრემიერობისას ამ საკითხზე მსჯელობა არ დაწყებულა. ეს ესტაფეტა გიორგი კვირიკაშვილმა გადაიბარა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხზე მსჯელობის დაწყებას პარლამენტი არც აპირებდა, მაგრამ მათთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დეპუტატი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებდა.

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგგარეშე შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნით, 2016 წლის 27 მაისს, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ პირველად გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) რიგგარეშე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა 19 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზზე განლაგებული „მესაზღვრეების“ მიერ საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საკითხი განიხილეს. ქართულმა მხარემ საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოითხოვა, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული პირი წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე. შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო „ცხელი ხაზის“ გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხს, რაც მნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ინციდენტების პრევენციისა და მათი რიცხვის მინიმუმამდე დაყვანისთვის.

IPRM-ის მექანიზმი 2009 წელს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. მექანიზმის შეხვედრები ორიენტირებულია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ინციდენტების პრევენციასა და მათ დარეგულირებაზე.

რუსეთში ე.წ. კანონიერი ქურდი ავთანდილ ჯიქია დააკავეს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ავთანდილ ჯიქია დააკავეს. რუსული მედიის ცნობით, მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. იგი ახალი მოსკოვის ტერიტორიაზე დააკავეს. ავთანდილ ჯიქია ცნობილია ავთო „ზუგდიდსკის“ მეტსახელით.

ავთანდილ ჯიქია ეჭვმიტანილია ძარცვაში, რომელიც ორგანიზებულმა ჯგუფმა მოსკოვის ერთ-ერთ უბანში ჩაიდინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ დაკავებული უკვე გადაეცა შესაბამის ძალოვან სტრუქტურებს.

ინტერპრესნიუსი

რუსეთს დეპორტაციის დროს გარდაცვლილი ქართველის ოჯახისთვის 70 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა

2006 წელს რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის ოჯახს მოსკოვმა 70 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს. ამის შესახებ ნათქვამია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ევროპულ სასამართლოს ჯაბელიას ოჯახმა მიმართა. კვარაცხელიების ოჯახი საჩივარში ამტკიცებდა, რომ მანანა ჯაბელიას მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლები, რაც სიცოცხლის უფლებას, წამებასა და უკანონო დაკავებას მოიცავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მანანა ჯაბელიას ოჯახის ადვოკატმა, პავლე ბერიამ განუცხადა, რუსეთის მხარემ მომჩივანთან მორიგება ითხოვა, რისი წინააღმდეგიც ოჯახი არ იყო და საბოლოო ჯამში რუსეთმა კვარაცხელიების ოჯახს, კომპენსაციის სახით 70 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს, ასევე უნდა აანაზღაუროს სასამართლოს ხარჯებიც.

– ქალბატონი მანანა ჯაბელია, მასობრივი დეპორტაცია და დევნა რომ ხორციელდებოდა, მაშინ დააკავეს. ის ბაზრობაზე მუშაობდა და 2006 წლამდე რუსეთში ყოფნისთვის საჭირო რეგისტრაცია ჰქონდა, თუმცა დაკავების დროს აღნიშნული რეგისტრაცია აღარ გააჩნდა, ვინაიდან პასპორტს გასული ჰქონდა ვადა. დაკავების შემდეგ ის შესაბამის იზოლატორში მოათავსეს და სასამართლომ, სხვა ქართველებთან ერთად, მასაც დეპორტაციის განაჩენი გამოუტანა და ამასთან ერთად, დააკისრა ჯარიმა. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა და აპელაციის შედეგად მას დეპორტი გაუუქმდა.

იმის მაგივრად, რომ დაკავებული გაეთავისუფლებინათ, მანანა ჯაბელია დააბრუნეს იზოლატორში, სადაც გულის შეტევით გარდაიცვალა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ პავლე ბერიამ.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნათია ხურცილავა

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ერთადერთი რესურსი ივანიშვილია“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ რესპუბლიკელები 8 ივლისამდე მინისტრთა პორტფელებს შეინარჩუნებენ.

– ბატონო სოსო, პრემიერს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის დაუგეგმავი შეხვედრა გაიმართა. პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა განაცხადა, რომ მათ სასაუბრო დაუგროვდათ. რაზე შეიძლება ქვეყნის მეთაურებს ესაუბრათ?

– ერთ-ერთი საკითხი აუცილებლად იქნებოდა კორცხელში ატეხილი ცემა-ტყეპა. ერთი კვირა გავიდა და ვხედავთ, რომ მაღალჩინოსნების კომენტარები უკვე შეცვლილია. მანამდე გვესმოდა, რომ ყველა დამნაშავე დაისჯებოდა. დღეს უკვე გვესმის, რომ ეს ადამიანები თავიანთი ნებით გამოცხადდნენ დაკითხვაზე, რომ ისინი თანამშრომლობენ გამოძიებასთან და ა.შ.

ჩემი ვარაუდით, დღეს მთავრობაში ქორებსა და მტრედებს შორის ხელჩართული ომი მიდის სწორედ ამ კონკრეტულ საკითხზე. ერთი ნაწილი ამ ადამიანების დასჯას მოითხოვს, მეორე ნაწილი კი – პირიქით. თუ დასჯის გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს იქნება მხოლოდ სიმბოლური.

– რესპუბლიკელები, როგორც თავად ამბობენ, არჩევნების წინ პოსტებს დატოვებენ. ამან შეიძლება ხელახალი დაძაბულობა და დაპირისპირება გამოიწვიოს თუ რესპუბლიკელები უკვე შეჩვეულები არიან, რომ მათ მოუწევთ წასვლა?

– პოპულიზმისა და დემაგოგიისთვის ყველაფრის გამოყენებაა შესაძლებელი. დღეს უკვე რესპუბლიკელები ოპოზიციონერები არიან. ხელისუფლება მათ უკვე ექცევა ისე, როგორც საქართველოში ხელისუფლება ოდითგან ექცეოდა ოპოზიციას. სახელისუფლებო რესურსს რესპუბლიკელებს, რასაკვირველია, გადაუკეტავენ და ისინი პოსტებს დატოვებენ. თუმცა, ამ კონტექსტში გადამწყვეტ როლს ასრულებს ვარშავის სამიტი და ხიდაშელი.

ვინაიდან „ოცნებიდან“ არავის სურს, წავიდეს ვარშავის სამიტზე, სადაც ყველამ იცის, რომ რითიც წავა, უკანაც იმით დაბრუნდება ანუ არაფრით, ვარშავის სამიტზე ქვეყანას თავდაცვის მინისტრის რანგში ხიდაშელი წარადგენს, რის მერეც ყველა მკვდარ კატას ხიდაშელის კისერზე ჩამოკიდებენ.

ახალი თავდაცვის მინისტრი რომ წავიდეს ვარშავის სამიტზე და ხელცარიელი დაბრუნდეს, ეს კიდევ ერთი იმედგაცრუება იქნება და ეს „ოცნებას“ აქტივში არ ჩაეწერება. ხმები იყო, რომ ხიდაშელის შემდეგ თავდაცვის მინისტრი სესიაშვილი გახდებოდა, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ ვარშავის ნატოს სამიტის შემდეგ. ამდენად, 8 ივლისამდე რესპუბლიკელები მინისტრის პორტფელებს შეინარჩუნებენ, შეიძლება – ივლისის ბოლომდეც.

– ბიძინა ივანიშვილის როლი როგორი იქნება 8 ოქტომბრის არჩევნებზე, აქტიურად ჩაერთვება წინასაარჩევნო კამპანიაში?

– ბიძინა ივანიშვილი ამ არჩევნებში უფრო მეტად ჩაერთვება, ვიდრე ეს 2012 წელს იყო. დღეს „ქართულ ოცნებას“ გაცილებით მეტად სჭირდება ივანიშვილის აქტიური ჩართვა, ვიდრე ეს საჭირო იყო 2012 წელს. 2012 წლის არჩევნებზე ივანიშვილის სახელიც კი საკმარისი იყო. დღეს ასე არ არის. ამ არჩევნებზე მისი ფიზიკური ჩართვაა საჭირო, თანაც – ძალზე აქტიურად. დღეს „ქართული ოცნების“ რესურსი ივანიშვილის პიროვნული რესურსია. სხვა რესურსი „ოცნებას“, სამწუხაროდ, არ გააჩნია.

– გამოდის, ივანიშვილს უბანუბან მოუწევს სიარული?

– არა, ეს არ არის საჭირო. მიტინგები გაიმართება, სადაც გამოვა ივანიშვილი და ხალხს მიმართავს. ივანიშვილს აქვს ადამიანისთვის მნიშვნელოვანი თვისება – ის ხანდახან გულწრფელია. შეიძლება თქვას რეალური მიზეზები, თუ რატომ ვერ მუშაობს ესა თუ ის სამინისტრო. რატომ არის ასეთ დღეში განათლების სისტემა, სხვა სამინისტროებში რატომ არის ასეთი ვითარება, მაგალითად, კულტურის სამინისტროში. საზოგადოება ხედავს, როგორი ეგზისტენციალური შეხედულება აქვს ჩვენს კულტურის მინისტრს.

შეიძლება ივანიშვილმა იმ შეცდომებზე ისაუბროს, რომლებიც იყო ამ ოთხ წელიწადში. ადამიანებს ძალიან მოსწონთ, როდესაც ხელისუფალი თავის შეცდომას გულწრფელად აღიარებს, თითქოს ამ დროს მომტევებელი ხდება. გამაღიზიანებელია, როდესაც მშიერ კაცს ეუბნები, როგორ დააპურე ის.

– რამდენიმე მინისტრის ცვლილება შეიძლება მოხდეს არჩევნებამდე? გარკვეული ცვლილებები კვირიკაშვილმა არ გამორიცხა.

– ახლა მინისტრთა კაბინეტის ცვლილებები ორლესული მახვილია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აქვს დადებითი მხარეც და უარყოფითიც. ამას ჩასაფრებული ელოდება ოპოზიცია, ნაციონალური მოძრაობა, რუსთავი 2, რომ თქვან, რამდენი ხანია ისინი ამბობენ, რომ ესა თუ ის მინისტრი შესაცვლელია, რომ ამაზე ააგონ ერთგვარი კამპანია, რატომ მიიყვანეს აქამდე საქმე, სანამ დაანგრევდა ესა თუ ის მინისტრი სისტემას და ა.შ.

– ამ ლოგიკით, კვირიკაშვილს ვერცერთი მინისტრი ვერ მოუხსნია.

– „ქართულ ოცნებაში“ კატასტროფული საკადრო შიმშილია. როდესაც პარტიაში საკადრო შიმშილია, მაშინ ვიღაცას გაახსენდება მეგობარი, ნაცნობი და ამას, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ებღაუჭება, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ამან შეიძლება საბედისწერო შეცდომამდე მიიყვანოს თვითონ გუნდი.

ფიქრია ჩიხრაძე: „პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრით სკანდალური არაფერი მომხდარა“

– ეს არის კარგი პრაქტიკა პრეზიდენტმა, პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ პირისპირ შეხვედრაზე მიმდინარე საკითხები განიხილეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პოლიტიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ გიორგი მარგველაშვილს, გიორგი კვირიკაშვილსა და დავით უსუფაშვილს შორის დღეს, დახურულ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე კომენტარებისას განუცხადა.

ჩიხრაძის თქმით, საუბარი შეეხო უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომას, ხურჩაში მომხდარ შემთხვევას, კორცხელის ინციდენტს, ვარშავის სამიტს და საკონსტიტუციო პერიპეტიებს.

პრეზიდენტის მრჩეველს უცნაურად მიაჩნია, რომ შეხვედრას მსგავსი აჟიოტაჟი მოჰყვა, ვინაიდან, მისი თქმით, „სკანდალური არაფერი მომხდარა“.

– მე მესმის აჟიოტაჟი, ვინაიდან წინა პრემიერისგან მძიმე გამოცდილება გვაქვს, როცა თანამდებობის პირები ვერ ახერხებდნენ ერთმანეთთან კომუნიკაციას და ცხადია, არა პრეზიდენტის მიზეზით. ეს წინა პრემიერის პირობებში ხდებოდა.

რაც შეეხება დღეს არსებულ სიტუაციას, კომუნიკაციამ დღეს მიიღო კონკრეტულ დარბაზში შეხვედრის სახე, თორემ კომუნიკაცია მათ აქვთ სატელეფონო საუბრის სახით, სხვადასხვა შეხვედრებზე საუბრის სახით. დღეს დაემთხვა, რომ დიასპორის ფორუმი იმართებოდა. იქ იმყოფებოდა სამივე თანამდებობის პირი, მთელი რიგი საკითხებია დღის წესრიგში და სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა, – აღნიშნა ჩიხრაძემ.

პრეზიდენტის მრჩეველი იმედს გამოთქვამს, რომ ძველი პრაქტიკა აღარ დაბრუნდება, როცა კონკრეტული თანამდებობის პირები „საგარეო ვიზიტებს იგონებდნენ“ და უშიშროების საბჭოს სხდომებს ამ მიზეზით არ ესწრებოდნენ.

ფიქრია ჩიხრაძე:

– ცხადია, მე მქონდა პრეზიდენტთან საუბარი ამ შეხვედრის შემდეგ. მათ განიხილეს საკითხები – ხურჩაში მომხდარი ამბავი, კორცხელში განვითარებული მოვლენები, უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც ალბათ უახლოეს მომავალში გაიმართება და ამ სხდომაზე სამივე თანამდებობის პირის დასწრება აუცილებელია, ასევე ის, თუ რა იქნება ვარშავის სამიტის მესიჯები და საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული პერიპეტიები. ასე რომ, რაიმე განსაკუთრებული, მოულოდნელი და სკანდალური ამ შეხვედრაში არ ყოფილა.

ეს იყო ჩვეულებრივი, კარგი, ნორმალური პრაქტიკა, რომ თანამდებობის პირები მიმდინარე საკითხებზე პოზიციებს ცვლიან, მოსაზრებებს უზიარებენ ერთმანეთს და იმედი მაქვს, იმ მახინჯ პრაქტიკას აღარასოდეს დავუბრუნდებით, როცა უშიშროების საბჭოს სხდომაზე არდასწრების გამო საგარეო ვიზიტებს იგონებდნენ.

პრეზიდენტმა, პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ „ქორთიარდ მარიოტში“ დახურული შეხვედრა გამართეს.

ხელისუფლების პირველი პირები დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში თათბირობდნენ.

ინტერპრესნიუსი

მსჯავრდებულის ახლობლისთვის თანხის გამოძალვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა მსჯავრდებულის ახლობლისთვის თანხის გამოძალვის ფაქტზე მოქალაქე ც.მ დააკავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ წარსულში თაღლითობისთვის ნასამართლევი ც.მ. 38 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის ბ.მ.-ის ნათესავს საპატიმროდან მის გათავისუფლებაში დახმარებას დაპირდა და ამის სანაცვლოდ, თაღლითურად 700 ლარი გამოსძალა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. გამოძიებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველო აწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

სტუდენტური თვითმმართველობა სახელმწიფო უწყებებს მიმართავს, „უნივერსიტეტიდან ბრბო გაიყვანოს“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შიდა საუნივერსიტეტო და სახელმწიფო უწყებებს მიმართავს. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დღეს თსუ-ს მეორე კორპუსში ბრიფინგი გამართეს, სადაც „აუდიტორია 115“-ის წევრებს „არალეგიტიმური“ და „ყოვლად ამაზრზენი ხალხის ბრბო“ უწოდეს.

– სტუდენტური თვითმმართველობა მიმართავს ყველა ორგანოს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომ აღდგეს ინსტიტუციური წესრიგი.

აუცილებელია ამ ადამიანების გაყვანა მოხდეს არა მარტო სტუდენტური თვითმმართველობის ოთახებიდან, არამედ „აუდიტორია 115“-იდან, რომელიც რატომღაც მისაკუთრებული და ოკუპირებული აქვთ. ჩვენ ვაძლევთ გონივრულ ვადას ყველა უწყებას, შიდა საუნივერსიტეტო თუ სახელმწიფო უწყებებს, რომ უნივერსიტეტიდან ეს ბრბო გაიყვანონ.

აღდგეს ინსტიტუციური წესრიგი და ჩვენ გავაგრძელოთ ჩვეულებრივი საქმიანობა, – აღნიშნა ბახვა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ის იხსნის პასუხისმგებლობას რა მოვლენები განვითარდება, თუ უნივერსიტეტიდან აღნიშნული პირების გაყვანა არ მოხდება. ბახვა კვირიკაშვილის განცხადებით, პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას „აუდიტორია 115“-ს და სახელმწიფოს ეკისრება.

მისივე თქმით, თუ უნივერსიტეტის დაცვას არ აქვს შესაბამისი შესაძლებლობა, მაშინ მათ უნდა მოუწოდონ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, გაფრთხილების თუ სხვა ქმედებების შემდგომ ამ ადამიანებმა დატოვონ უნივერსიტეტის ტერიტორია.

– ამ ადამიანების ყოფნა უნივერსიტეტში არის ყოველთვის პროვოკაციების და სიტუაციის გამძაფრების მაპროვოცირებელი. მსგავსი ადამიანები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არ უნდა იყვნენ, – განაცხადა ბახვა კვირიკაშვილმა.

„აუდიტორია 115“-ის წევრებს თსუ-ში სამი აუდიტორია აქვთ დაკავებული, კერძოდ, დაკავებულია 213-ე აუდიტორია, რომელიც არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი ოთახი. დაკავებულია აუდიტორია 303, რომელიც თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის თვითმმართველობის ოთახია და ასევე აუდიტორია 115.

ინტერპრესნიუსი

გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული ქართული მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგეს

გალში, გაერო-ს ოფისში გამართული, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ხუთმხრივი შეხვედრა დასრულდა.

როგორც ჟურნალისტებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ირაკლი ბერაიამ განუცხადა, ქართულმა მხარემ შეხვედრაზე მოითხოვა, გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული პირი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს.

ირაკლი ბერაია:

– შეხვედრა საკმაოდ კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში წარიმართა. საუბარი შეეხო ხურჩაში მომხდარ მკვლელობის ფაქტს. ჩვენ დავაყენეთ მოთხოვნა, რომ მკვლელი წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე და საკუთარ თავზე გამოსცადოს ქართული მართლმსაჯულების ძალა.

ამასთან, ბერაიას ინფორმაციით, მომდევნო შეხვედრა გალში 6 ივლისს გაიმართება, თუმცა მისივე ინფორმაციით, მანამდე – ივნისში დაგეგმილია ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, რომელზეც ასევე იქნება განხილული ოთხოზორიას მკვლელობის საკითხი.

ინტერპრესნიუსი

მანუჩარ მაჩაიძე:
„უნდა მოხდეს შეთანხმება სექსუალურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის“

მარიამ მჭედლიშვილი

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთმანეთთან ერთიან საარჩევნო ბლოკს ქმნიან ის პოლიტიკური ძალები და ჯგუფები, რომლებიც სხვებზე უფრო აქტიურად გამოდიან ერთნაირსქესიანთა ქორწინებების წინააღმდეგ. ეს ძალები ქორწინების, როგორც ქალისა და კაცის ერთობის მკაფიო განერას კანონმდებლობაში სხვა პრობლემებზე არანაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. საუბარია თამაზ მეჭიაურისა და მისი გუნდის, ასევე მიენველების, სანდრო ბრეგაძისა და პატრიოტთა ალიანსის გაერთიანებაზე.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური საბჭოს წევრი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ამ საკითხზე ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი.

მანუჩარ მაჩაიძე:

— ჩვენი, პატრიოტთა ალიანსის, ხედვები გარკვეულ საკითხებზე მართლაც ემთხვევა ზოგიერთი პარტიისა და ჯგუფის პოზიციებს. არ არის გამორიცხული, რომ ვინმესთან გავერთიანდეთ, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ გაერთიანება არ შედგეს.

ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან მნიშვნელოვანია. მთლიანად მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, ისეთი შეტევა მიდის ტრადიციულ ღირებულებებზე, რომ საჭირო ხდება ქორწინების განმარტება. მიმაჩნია, რომ სექსუალური უმცირესობის დევნა არ შეიძლება. მათ შევიწროებას არ მოვითხოვთ, მაგრამ ისინიც ნუ გადმოვლენ შეტევაზე! არსებობს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, რომელმაც ყველას უფლება უნდა დაიცვას. ბოლო პერიოდში ვხდებით იმის მომსწრენი, თუ როგორ ირღვევა მორწმუნე ადამიანების უფლებები.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— ერთნაირსქესიანთა ქორწინებები კატეგორიულად მიუღებელია ქრისტიანებისთვის, მუსლიმანებისთვის, სხვა ტრადიციული რელიგიების მიმდევრებისთვის. მორწმუნეებისთვის ჰომოსექსუალური ურთიერთობები ნორმა ვერ იქნება. თუ ვინმეს ასეთი ურთიერთობები აქვს, ამ ხალხს მსოფლიოს უდიდეს ნაწილში არავინ დევნის. საუბარია იმაზე, რომ ისინი მოითხოვენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებას და ბევრ სახელმწიფოში ამას მიაღწიეს კიდეც.

ამით ირღვევა მორწმუნეების უფლებები. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სასტუმროებში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ბიბლია. ქრისტიანებისათვის თვალსაჩინოა ამ ცოდვის გამო სოდომისა და გომორის განადგურება. ის, რაც ხდება, მორწმუნეების უფლებების შებღალვაა. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს არასდროს დაეთანხმება.

— მაგრამ არიან მომხრეებიც..

— ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად საზოგადოება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყო დაყოფილი. ძველ საბერძნეთსა და რომში წარმართულ ხანაში დიდი აღვირახსნილობა შეინიშნებოდა. თუმცა, იყვნენ მორალისტებიც, რომლებიც ერთნაირსქესიანთა შორის ურთიერთობების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

სოკრატე და პლატონი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო უნდა მართონ მამათმავლებმა. სოკრატეს ასეთი სახის პარტნიორობა ჰქონდა მხედართმთავარსა და პოლიტიკოს ალკიბიადესთან.

ქრისტიანობამ შემოიტანა ზნეობრივი მცნებები, რომლებიც კრძალავდა სოდომურ ურთიერთობებს. ქრისტიანობამ დიდ შემოტევებს გაუძლო. მისი მოწინააღმდეგეები ყოველთვის იყვნენ მატერიალისტები. მე-19 საუკუნეში მათ რიგებს შეემატნენ სოციალ-დემოკრატებიც.

> „სააკაშვილისა და მისი პარტიის დაბრუნება ნერონისა და კალიგულას მმართველობის დაბრუნებას ნიშნავს“

— მარქსი-ენგელსი-ლენინიც ამ იდეოლოგიას მისდევდნენ?

— თქვენ მიერ დასახელებული სამივე ბელადი ჰომოსექსუალი იყო. ბოლშევიკებმა დაამკვიდრეს ყველანაირი აღვირახსნილობა. სექსუალური თავისუფლების აუცილებლობაზე ვაიუშველებელი აქვთ ატეხილი ჩვენს ულტრალიბერალებს. ისინი ისევე აზროვნებენ, როგორც ბოლშევიკები.

ბოლშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ოჯახი საჭირო არ იყო, ქალი საზოგადოებრივი საკუთრება უნდა ყოფილიყო, ბავშვს არ უნდა სცოდნოდა, ვინაა მისი მამა. ამან ვენერიული დაავადებების აფეთქებები გამოიწვია. ამის გამო ულმერთო ბოლშევიკებმა გარკვეული ღირებულებები ქრისტიანობიდან გადმოიღეს.

— საქართველოში უმცირესობისგან რაიმე პრობლემებს მოელით?

— ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც დაახლოებით 9 წლის განმავლობაში ციხეებში სექსუალური უმცირესობა ძალადობდა სექსუალურ უმრავლესობაზე. ეს უბრალოდ წამება არ იყო! ამაში ჩართული იყვნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები. ისინი არ დასჯილან.

— ამის განმეორების საფრთხე არსებობს?

— თუ ეს განმეორდა, გვექნება ჯოჯოხეთი. სააკაშვილისა და მისი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლით დაბრუნდება ეს საფრთხე, დაბრუნდება ნერონისა და კალიგულას დრო. იმედია, მწამებელი ნაციონალები არ დაბრუნდებიან. საზოგადოებაში კონფლიქტის ასაცილებლად აუცილებელია გარკვეული შეთანხმება სექსუალურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის.

უმცირესობებს არავინ ავიწროებს. ეს პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მოძალადეები უნდა დაისაჯონ. ამ შეთანხმებით, არ უნდა იდევნებოდნენ უმცირესობები, მაგრამ ლგბტ პირებმაც არ უნდა გასწიონ პროპაგანდა და არ უნდა მოითხოვონ ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონება. კანტის თქმით, თუ ადამიანს ზნეობას ჩამოაცილებ, ის ცხოველთა სამყაროს ნაწილი გახდება. ეს არ უნდა დავივიწყოთ.

იან კელი:
„აშშ-ს სურს დაინახოს, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი ე.წ. კაბელების საქმეს ეხმაურება.

ელჩი კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებს, თუმცა აღნიშნავს, რომ დემოკრატიული ქვეყნის მთავარი ასპექტი სწორედ დამოუკიდებელი სასამართლოა.

— ამ საქმის დეტალებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან პროცესი გრძელდება. მინდა გითხრათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს დაინახოს, რომ საქართველო წარმატებას აღწევს, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა. დემოკრატიის მნიშვნელოვანი ასპექტი კი დამოუკიდებელი სასამართლოა, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური ჩარევისაგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო წელს. ამიტომ, ჩვენ საქმეს ყურადღებით დავაკვირდებით, — განაცხადა კელიმ.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს ე.წ. კაბელების საქმეზე 7 წლიანი პატიმრობა მიესაჯათ. ნუგზარ კაიშაურს, დავით წიფურიას, არჩილ ალავიძეს, გიორგი ლობჟანიძეს და გიზო ღლონტს გამოძიება 4 მილიონამდე საბიუჯეტო თანხის გაფლანგვას ედავება.

ნიუსპრესი

„საქართველო უახლოეს წლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ვერ გაწევრიანდება“

საქართველოში ჩატარებული ერთობლივი სამხედრო წრთვნები ქართველი, ამერიკელი და ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით (მძიმე ტექნიკის ჩათვლით) უნდა შეფასდეს, როგორც ერთგვარი „დამამშვიდებელი პრიზი“ თბილისისათვის. მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველო, ისევე, როგორც სხვა პრეტენდენტი ქვეყნები, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უახლოეს წლებში ვერ გაწევრიანდებიან, — წერს ჟურნალისტი ბენუა ვიტკინი გაზეთ „მონდ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

„თერთმეტ მაისს საქართველოს პრეზიდენტმა სტარტი მისცა სამხედრო სწავლებას „ღირსეული პარტნიორი-2016“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასობით ამერიკელმა, ბრიტანელმა და ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ. ეს იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო მანევრები, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ოდესმე გამართულა, — აღნიშნავს ფრანგი ჟურნალისტი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა წრთვნებს „ოცნება“ უწოდა, „რომელიც რეალობად იქცა“, თუმცა აშკარაა, რომ საქართველოს ნატოში მიღების პერსპექტივა სულ უფრო შორეული და ბუნდოვანი ხდება. სამხედრო მანევრების დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე აშშ-ის ელჩმა ნატოში განაცხადა, რომ საქართველოს უახლოეს წლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის გაფართოებისა და მასში გაწევრიანების იმედი არ უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თბილისი ნატოსთან მიმართებით მხოლოდ გაძლიერებულ თანამშრომლობას უნდა დაჯაბულდეს. ამრიგად, გამოდის, რომ ვაზიანში დასრულებული ერთობლივი სამხედრო წრთვნები საქართველოსთვის მიცემულ „დამამშვიდებელ პრიზს“ ნიშნავს.

თბილისიდან ჩრდილოეთით, 60 კილომეტრში კი რუსული ტანკები დგანან. „მონდის“ კორესპონდენტი ესაუბრება ადგილობრივ მცხოვრებ იგორ მაყაშვილს, რომელიც ერთობლივი მანევრებისადმი საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი: „როგორ, რვა ამერიკული ტანკი ასობით რუსული ტანკის წინააღმდეგ?“, — უიმედოდ ამბობს იგორი, რომელმაც ერთობლივი წრთვნების ამსახველ კადრებს ტელევიზორში უყურა, მისი სახლიდან 100 მეტრის მოშორებით კი ბოძებია ჩასობილი წარწერით „სახელმწიფო საზღვარი“. ადრე აქ სადემარკაციო პირობითი ხაზი გადიოდა, რომელიც სამხრეთ ოსეთში 2008 წლის მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დადგინდა, ბოლო ხანებში კი რუსმა ჯარისკაცებმა პირობითი სადემარკაციო ხაზი „სახელმწიფო საზღვრად“ გადააქციეს, ბოძებითა და მავთულხლართებით.

რუსეთი საქართველოზე მუდმივ ზეწოლას ახორციელებს, სამხრეთ ოსეთი კი კრემლის იარაღად იქცა, — წერს ჟურნალისტი. მიმდინარე წელს სეპარატისტული რეგიონი რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს. ცხინვალის ამგვარი ძალისხმევით სულ უფრო აუხდენელი ხდება საქართველოს მიზნები რეგიონზე კონტროლის დაბრუნების თაობაზე.

ვაზიანში რვა ამერიკული ტანკი, ხურვალეთში კი „სახელმწიფო საზღვარი“ — ესაა საქართველოს სტრატეგიული დილემის ორი მხარე: ქვეყნის პროდასავლური ამბიციები, რომლებსთაც, ერთი მხრივ, დასავლეთი ყურს უყრუებს და მეორე მხრივ, რომლებსაც რუსეთი თავისი ზეწოლითა და მუქარებით თრგუნავს.

ყოველივე ამას ემატება მესამე ფაქტორი — ქართული პოლიტიკური დინამიკა. ოფიციალურად 2008 წლიდან ქვეყნის „ევროატლანტიკური კურსი უცვლელი რჩება — 2014 წელს გაფორმდა ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან; სავარაუდოდ, ბრიუსელმა მიმდინარე წელს საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი უნდა დააწესოს; ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის, აშშ-ისა და ნატოს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში — ერაყში, ავღანეთში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში... მაგრამ 2013 წელს ქართული პოლიტიკიდან მიხეილ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ახალი ძლიერი ლიდერის — ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის გავლენით მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქმე ეხება ე.წ. „სტრატეგიული თმენის“ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, წერს ბენუა ვიტკინი: თბილისი სულ უფრო ხშირად ავლენს კეთილ ნებას მოსკოვთან ურთიერთობაში. უკრაინის კრიზისის დაწყების დროიდან საქართველომ რუსეთთან მიმართებით თავშეკავებული კურსი აიღო და [ნაკლებად ცდილობს მწვავედ] დასვას დღის წესრიგში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დოსიე. როგორც თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ალასანია ამბობს, „ბიძინა ივანიშვილმა კარი გააღო საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში დასაბრუნებლად“.

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის თორნიკე შარაშენიძის აზრით, „ბიძინა ივანიშვილს პრორუსული პოზიცია არ აქვს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესმენი და მეწარმეა. ამიტომაც იგი საქართველოს „ფინეთიზაციის“ მომხრეა, მიხეილ სააკაშვილი კი ასეთი კურსის წინააღმდეგი იყო“. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, „ფინეთიზაციის“, ანუ ბალანსის (წონასწორობის) პოლიტიკას საბოლოოდ ქვეყნის ჩიხში შეყვანა შეუძლია: „ქართველების [შემრიგებლური] სიგნალების მიუხედავად, მოსკოვი კვლავ ძალის პოზიციიდან მოქმედებს და, როგორც ჩანს, სულაც არ არის მზად თბილისს რაიმე საჩუქარი გაუკეთოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთადერთ ფაქტიურ დათმობას, რომელიც 2013 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ემბარგოს გაუქმებაში გამოიხატა“, — ამბობს ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატი „მონდის“ კორესპონდენტთან საუბარში.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ფინანსური ზედამხედველობა ეროვნულ ბანკს აღარ გამოეყოფა

ფინანსური ზედამხედველობა ეროვნულ ბანკს აღარ გამოეყოფა. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბიზნესკონტაქტის ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, საფინანსო ზედამხედველობას კვლავ ეროვნული ბანკი განახორციელებს და ეს საკითხი ამოწურული და შეთანხმებულია.

– მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ამოწურულია და ამ წუთში ჩვენ ყველანი ვართ შეთანხმებულები, რომ ფინანსური ზედამხედველობა დარჩება ეროვნულ ბანკში, – განაცხადა მინისტრმა.

* * *

ეროვნულ ბანკს საფინანსო ზედამხედველობის სამსახური გასულ წელს გამოეყო. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების თამაზ მეჭიაურისა და ნოდარ ებანოიძის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის საფუძველზე ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, რომელთა თანახმადაც, ეროვნული ბანკისგან საფინანსო ზედამხედველობის სამსახური გამოიყო და ის ცალკე სააგენტოდ ჩამოყალიბდა. პარლამენტმა მთავრობის მიერ შეთავაზებული საააგენტოს საბჭოს ოთხი წევრი დაამტკიცა.

მმართველმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საბჭოს წევრად 5 წლის ვადით წარდგენილ ეფრემ ურუმაშვილის კანდიდატურას, ხოლო 7 წლის ვადით – ეკატერინე გალდავას, ირაკლი კოვზანაძისა და საშა ტერნესის კანდიდატურებს. საბჭომ მისი შემადგენლობიდან ხელმძღვანელად ირაკლი კოვზანაძე აირჩია. სააგენტოს საბჭოში ასევე შედიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის საბჭოს კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომელსაც თავად ეროვნული ბანკის საბჭო ნიშნავს.

თუმცა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დამოუკიდებლად არ უმუშავია. საქმე ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული. გასული წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო სასამართლომ სამსახურის საქმიანობის დროებით შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბანკებზე ზედამხედველობას კვლავ ეროვნული ბანკი ახორციელებს.

ფინანსური ზედამხედველობის ეროვნული ბანკისგან გამოყოფის საკითხი თავის დროზე დაპირისპირების საგანი გახდა. ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ასევე საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული ცვლილების წინააღმდეგი იყვნენ.

* * *

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი თამაზ მეჭიაური პარლამენტის უპატივცემულობად აფასებს ვიცეპრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს აღარ გამოეყოფა.

თამაზ მეჭიაურმა აღნიშნულის შესახებ „კომერსანტისგან“ შეიტყო და განაცხადა, რომ კანონმდებლობა არ უნდა იყოს ამა თუ იმ პიროვნების კეთილ ნებაზე დამოკიდებული. მისი აზრით, კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ახლანდელი მთავრობის მიერაც უნდა ყოფილიყო მხარდაჭერილი.

– კანონპროექტი თავის დროზე მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე იყო მიღებული. გამოდის, რომ დღევანდელი მთავრობა ძალიან ლოიალურად არის განწყობილი გიორგი ქადაგიძის მიმართ, – აცხადებს მეჭიაური.

მისივე შეფასებით, ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება ამ ეტაპზე უარყოფითი მიმართულებით არაფერი შეცვალოს, რადგან ეროვნული ბანკის დღევანდელი ხელმძღვანელობა არ არის ისეთივე პოლიტიზებული, როგორიც ეს ხელმძღვანელობა იყო.

* * *

„კომერსანტი“ ეფრემ ურუმაშვილსაც დაუკავშირდა, თუმცა მან კომენტარისგან თავი შეიკავა.

მისი თქმით, საბჭო შეთანხმებულია იმაზე, რომ ყველანაირ განცხადებას ირაკლი კოვზანაძე აკეთებს. შესაბამისად, კომენტარი მას უნდა ვთხოვოთ.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

ქართველი მომხმარებელი ქართულ პროდუქციას პატივს არ სცემს?

ქართულმა წარმოებამ ადგილობრივი ბაზრის არაერთ სეგმენტში წამყვანი პოზიციების დაკავება და მომხმარებლის ნდობის მოპოვება დღემდე ვერ შეძლო.

როგორც მწარმოებლების ნაწილი ამბობს, ქართველი მომხმარებელი ადგილობრივი პროდუქციის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი.

ამის მაგალითია კომპანია „იბერია 2005,“ რომელიც უკვე 11 წელია რვეულების წარმოებაშია ჩართული.

„იბერია 2005“-ის ხელმძღვანელი ლევან ჯიქია „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ თურქულის ჩანაცვლება შედარებით დაბალი ფასებითა და მსგავსი ხარისხით შეძლეს, თუმცა ჩინურთან კონკურენციის გაწევა უფრო რთულია, რადგან ჩინური წარმოების ფასი ბევრად დაბალია.

როგორც ლევან ჯიქია ამბობს, პრობლემას ქმნის თავად ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულებაც. კომპანიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ქართველ მყიდველს ადგილობრივი პროდუქციის მიმართ სკეპტიციზმი აქვს და ნაკლებად ენდობა, ვიდრე უცხოურ ნაწარმს.

– თუ ხედავენ, რომ ქართული პროდუქცია დევს დახლზე, ჰგონიათ, რომ უცხოური ჯობია, რადგან არის შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ჯერ წესიერად წარმოება არ ვიცით. ჩვენ შეგვიძლია იმავე ფასად მივაწოდოთ პროდუქცია, რამდენადაც ჩინურ რვეულს იბარებენ დისტრიბუტორები. დანარჩენი კი მომხმარებლის არჩევანსა და ადგილობრივი პროდუქციის პატივისცემაზეა დამოკიდებული. ეს განცდა კი ქართველ მომხმარებელში ნაკლებადაა, – აცხადებს ლევან ჯიქია.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული პროექტები, რომლებიც ქართული პროდუქციის მხარდაჭერას გულისხმობს, მომხმარებელში ჯერ არ არის გამჯდარი ნდობა ადგილობრივი პროდუქციის მიმართ.

– მიმდინარეობს კამპანია ქართული პროდუქციის მხარდასაჭერად, მაგრამ ამას დრო სჭირდება, რომ მომხმარებელს ნდობა გაუჩნდეს ქართული პროდუქციისადმი. ამასთან, თუ მოვლენები ნორმალურად განვითარდება ქვეყანაში და მოსახლეობას მსყიდველუნარიანობა ექნება, ამის შემდეგ მოვა ეროვნულობის განცდაც მომხმარებელში, – აცხადებს ლევან ჯიქია.

* * *

რამდენიმე კვირის წინ „კომერსანტი“ ქართული არმატურის მიმართ უნდობლობაზეც წერდა. ჩვენთან საუბარში სამშენებლო კომპანიების წარმომადგენელთა ნაწილი აცხადებდა, რომ ქართულ არმატურას არ ენდობა და მის ნაცვლად უცხოურს იყენებს.

ქართველი მომხმარებლის განსხვავებულ დამოკიდებულებაზე საუბრობს რუსთავში მდებარე AG telecom-ის დირექტორი მიხეილ ღლონტი. მისი თქმით, მაშინ, როდესაც ბაზარზე ქართული წარმოების TV ბოქსები გამოჩნდა ჩინური წარმოების გვერდით, მომხმარებელმა ქართულზე გააკეთა აქცენტი.

იმავეს ამბობს მიხეილ ღლონტი მათ მიერ წარმოებულ ლედ-ნათურებთან დაკავშირებითაც. როგორც წარმოების ხელმძღვანელი აცხადებს, ამ შემთხვევაში ხარისხთან ერთად მომხმარებელს გარანტიაც ხიბლავს, რომელიც, მაგალითად, ჩინურ საქონელს არ გააჩნია.

უახლოეს მომავალში რუსთავის ქარხანა ქართული ტელევიზორების გამოშვებას აპირებს და მის ხელმძღვანელს საკმაოდ ოპტიმისტური განწყობები აქვს. მისი თქმით, ქართულ წარმოებასაც შეუძლია იყოს ხარისხიანი და კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბრენდებს.

ქართული ტელევიზორის წარმოების დაწყების შესახებ „კომერსანტმა“ მკითხველს პირველმა შეატყობინა. ახალი ამბის გავრცელებისთანავე, სტატიას მომხმარებელთა შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. სოციალური ქსელების მომხმარებელთა დიდ ნაწილს ქართულ წარმოებაში ეჭვი ეპარებოდა და საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი სიახლის მიმართ, რამდენად შეძლებს ქართული ტელევიზორი კონკურენციის განევას უცხოურისთვის.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

ირაკლი ალასანია: „გავაგრძელებთ საპროტესტო აქციებს“

კაბელების საქმეზე კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი. ირაკლი ალასანიას თქმით, ეს თემა არის ერთ-ერთი უმთავრესი ქართულ-ამერიკულ დიალოგში და პარტია არ შეწყვეტს საპროტესტო აქციებს უდანაშაულო პირების გათავისუფლებამდე.

– დიალოგში ქართულ-ამერიკულ მხარეს შორის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი. დიდი იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა გააკეთებს ყველაფერს, რომ დაანახოს ხელისუფლებას, უდანაშაულო ადამიანების ციხეში გაშვება ძვირად დაუჯდებათ პოლიტიკურად და ამას სჭირდება მოგვარება. მე ნაკლები აქცენტი მაქვს გადატანილი საერთაშორისო ორგანიზაციებზე. ჩვენი პარტია და ის მხარდამჭერები, რომელიც ჩვენ გვყავს, გავაგრძელებთ საპროტესტო აქციებს, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

პირველი რადიო

ერთიან ეროვნულ გამოცდებს წელს 2.900-მდე აბიტურიენტი გამოეთიშა

ერთიან ეროვნულ გამოცდებს წელს 2.900-მდე აბიტურიენტი გამოეთიშა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, აღნიშნულმა მოსწავლეებმა სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ერთ-ერთ საგანში ბარიერი ვერ გადალახეს.

რაც შეეხება გამოსაშვებ გამოცდებზე დაფიქსირებულ შედეგებს, საქართველოს მასშტაბით, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე გასული მოსწავლეების თითქმის 98%-მა ზღვარი წარმატებით გადალახა. არ გამოცხადდა დარეგისტრირებულთა დაახლოებით 2%, რაც ყოველწლიური სტანდარტული მაჩვენებელია.

უცხოური ენის გამოცდაზე 43 ათასამდე მოსწავლე გამოცხადდა, ზღვარი წარმატებით დაძლია მონაწილეთა დაახლოებით 85%-მა (ზღვრის გადასალახად მოსწავლეს დაახლოებით 15 ყველაზე მარტივ კითხვაზე უნდა გაეცა სწორი პასუხი).

ისტორიის გამოცდაზე 42 ათასამდე მოსწავლე გამოცხადდა, ზღვარი წარმატებით დაძლია მონაწილეთა 95%-ზე მეტმა.

მათემატიკის გამოცდაზე კი, 42.700-ზე მეტი მოსწავლე გამოცხადდა, მათგან ზღვარი წარმატებით დაძლია მონაწილეთა 86%-ზე მეტმა.

გამოსაშვებ გამოცდაზე 47.000-მდე მოსწავლე იყო დარეგისტრირებული. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი, რეგისტრაცია 41.500– ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა. აღნიშნულ მაჩვენებელს გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაჭრილი 2.900-მდე მოსწავლე გამოაკლდება.

ინტერპრესნიუსი

პრემიერ-მინისტრი კორცხელის ინციდენტზე — ძალოვანი უწყებები უნდა იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე

პრემიერ-მინისტრი კორცხელის ინციდენტზე – ძალოვანი უწყებები უნდა იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სამართალდამცველებს მოუწოდებს, კორცხელის ინციდენტის მსგავსი ძალადობრივი ფაქტების მიმართ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ.

როგორც კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნებისას პრევენციული ზომების მიღება მოხდეს.

– უნდა იყოს მაქსიმალური მობილიზება. შემოდგომაზე, როცა ჩავატარებთ არჩევნებს, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ იყოს პრევენციული ზომები მიღებული, რათა ასეთი ინციდენტები არ განმეორდეს. ძალოვანი უწყებები უნდა იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე, ეს მნიშვნელოვანია, – დასძინა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ხელისუფლების მხარდამჭერებს შეახსენა, რომ მათ ისეთივე თმენის ვალდებულება ეკისრებათ, როგორც მმართველ ძალას.

– მინდა ყველას და უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მხარდამჭერების გასაგონად ვთქვა, რომ ეს არ არის ჩვენი სტილი. ჩვენ არ ვაპირებთ არჩევნების ამ სტილში ჩატარებას. ჩვენი მიზანია, რომ უზრუნველვყოთ ძალადობისგან თავისუფალი საარჩევნო გარემო, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავისუფალ გარემოში, კონფრონტაციის გარეშე საკუთარი ნების გამოხატვა, – აღნიშნა პრემიერმა და ხაზი გაუსვა, რომ კორცხელში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას ყურადღებით აკვირდება.

ინტერპრესნიუსი

რას აკეთებდა ზაქარია ქუცნაშვილი მოსკოვში

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი ახალ სკანდალში გაეხვია. ცნობილი გახდა, რომ აპრილის დასაწყისში ის მოსკოვში იმყოფებოდა. ღონისძიებას, რომელსაც ის დაესწრო, ვლადიმერ ჟირინოვსკი და გენადი ზიუგანოვიც ამშვენებდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ეს არც არის გასაკვირი – 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი დეპუტატი რუსეთში წავიდა.

ყველაზე მეტად ნაციონალები იმან აღაშფოთა, რომ ქუცნაშვილის ვოიაჟის შესახებ ლამის 2 თვის შემდეგ გაიგეს.

ინფორმაცია ქუცნაშვილის მოსკოვში ვიზიტის შესახებ პირველმა რადიომ გაასაჯაროვა. მისთვის ეს ინფორმაცია 27 მაისს გახდა ცნობილი.

როგორც ირკვევა, ზაქარია ქუცნაშვილი 3-6 აპრილს მოსკოვში იმყოფებოდა. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მონაწილეობა მიიღო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს სხდომის მუშაობაში.

როგორც აღმოჩნდა, ქუცნაშვილი ამ ასამბლეაში პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელია და ასამბლეაში განათლების კომიტეტს თავმჯდომარეობს.

ასამბლეის სხდომა რუსეთის დუმის შენობაში გაიხსნა. გახსნას წინ უძღოდა ფოტოგამოფენა „წმინდანთა ათონი“.

გამოფენა დუმის თავმჯდომარე სერგეი ნარიშკინმა გახსნა. გახსნას ესწრებოდნენ დუმის ფრაქციათა თავმჯდომარეები – ედინაია როსიას თავმჯდომარე ვლადიმერ ვასიევი, ფრაქცია კომუნისტების თავმჯდომარე გენადი ზიუგანოვი და ლიბერალ-დემოკრატების თავმჯდომარე ვლადიმერ ჟირინოვსკი, ასევე დუმის სხვა წევრები.

ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ მოსკოვში საიდუმლოდ არ წასულა და მისი მოსკოვური ვოიაჟის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებ-გვერდზეც დევს.

– ეს მრავალმხრივი შეხვედრა იყო. სამდივნოს ფორმატით ბერძნების ორგანიზებით. ანუ მართლმადიდებელ საპარლამენტო ასამბლეას სამდივნო ხელმძღვანელობს და შესაბამისად ბერძენია ამ სამდივნოში გენერალური მდივანი, – განაცხადა დეპუტატმა.

ამ გამოფენას რუსული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რაზე ელაპარაკა მათ ქართველი დეპუტატი.

ზაქარია ქუცნაშვილს თუ დავუჯერებთ, მას რუსული პოლიტიკის „კიტებთან“ არაფერზე უსაუბრია. ამტკიცებს, რომ მათთან შეხვედრაც კი არ გაუმართავს.

– კონტაქტი არ გვქონია გარდა იმისა, რომ ბერძნებმა მოაწყვეს ათონის მთის ისტორიის გამოფენა და გამოფენაზე მობრძანდნენ სხვადასხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები, – განუცხადა პირველ რადიოს ზაქარია ქუცნაშვილმა.

* * *

ქუცნაშვილის მოსკოვური ვიზიტი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ნაციონალები ამ თემას მომავალი კვირიდან ჩაუღრმავდებიან.

– უნდა გაირკვეს, სინამდვილეში რატომ იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მოსკოვში. ისე, არც გამკვირვებია, ივანიშვილის გუნდის წევრი დუმის შენობაში რომ ეახლა ოკუპანტებს. როგორ გგონიათ, ის იქედან ისე წამოვიდოდა, რუსებს რამეზე არ შეთანხმებოდა? – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოფილმა დეპუტატმა მეგი გოცირიძემ.

მისი თქმით, არც ისაა შემთხვევითი, მოსკოვში ქუცნაშვილი რომ გააგზავნეს.

– მამამისს მოსკოვში ბევრი ნაცნობი ჰყავს და ამიტომაც აფრინეს იქ. ეს ყველაფერი ივანიშვილთან იქნებოდა შეთანხმებული, – ამბობს ყოფილი დეპუტატი.

მეგი გოცირიძის განცხადებით, ქუცნაშვილის გზას ძალიან მალე მთელი „ქართული ოცნება“ დაადგება.

– არჩევნების შემდეგ ყველანი მოსკოვის გზას დაადგებიან, ოღონდ უკან დასაბრუნებელი ბილეთის გარეშე, – განაცხადა გოცირიძემ.

სააკაშვილი: „უკრაინის პროკურატურას კრამიტი დაუცურდა“

შორენა მარსაგიშვილი

ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის საქმეები ძალიან აიწეწა. მისი ოპონენტების რიცხვს უკრაინის ახალი მთავარი პროკურორი იური ლუცენკოც შეუერთდა. ლუცენკოს დავალებით, 26 მაისს ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობაში ჩხრეკა ჩატარდა.

პროკურატურის გამომძიებლებმა ჩხრეკა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ჩაატარეს., ჩხრეკა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამდებობის პირთა მიერ 2012-2013 წლებში უკანონო ფინანსურ ოპერაციებს უკავშირდება.

უკრაინელმა ძალოვნებმა საქართველოს გენერალური კონსულის, თეიმურაზ ნიშნიანიძის სახლიც გაჩხრიკეს.

მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ გენერალური პროკურატურა მას ჩასაფრებული ჰყავს და ცდილობს, რაღაცაში გამოიჭიროს.

მის უწყებაში ჩატარებულმა ჩხრეკამ გუბერნატორი გააცეცხლა. მისი მტკიცებით, პროკურატურამ მისი თანამშრომლები ოთახში გამოკეტა. მათ გამოსახსნელად გუბერნატორს ლამის სპეცოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

– სამწუხაროდ, ჩვენ მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ. დღეს იძულებული გავხდი, მეხსნა ჩემი თანამშრომლები, რამდენიმე ახალგაზრდა გოგო, რომლებიც წყლის გარეშე დატოვეს, გარე სამყაროსთან კომუნიკაცია აუკრძალეს და ჩაკეტილ კარს მიღმა ჰყავდათ ავტომატიანებს, რომლებიც ე.წ. ღონიძიებას ატარებდნენ, ჩხრეკას. იძულებული გავხდი, პროტოკოლების კაბინეტის კარი შემემტვრია, რომ ეს გოგოები გამომეყვანა, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა.

მისთვის გაუგებარია ისიც, თუ რატომ გადაწყვიტა პროკურატურამ ოდესის სამხარეო ადმინისტრაციაში მოეძებნა საქართველოს გენერალური კონსულის კაბინეტი.

– გენერალური პროკურატურა ისტერიულად ეძებს ამ თვეების განმავლობაში რამე ისეთს, რომლითაც შეძლებენ გუნდს შეეხონ. ვერაფერი იპოვეს. და აი, ევრიკა – საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული! გადაწყვიტეს, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საჩუქარი გაეკეთებინათ. მე მას, ცხადია, ვიცნობ, კონსულობის პერიოდიდან. მაგრამ ის აქ, ჩემს ადმინისტრაციაში არ მუშაობს, მას არ აქვს კაბინეტი ჩემს ადმინისტრაციაში, – აღნიშნა აღშფოთებულმა გუბერნატორმა.

საქართველოს ექსპრეზიდენტის თქმით, უკრაინაში საქართველოს ყოფილ კონსულს ბრალი ჯერ კიდევ 2011-2013 წლებში წაუყენეს გადასახადების არასწორი გაფორმებისთვის.

– მას ბრალი 3 წლის წინ წაუყენეს და ახლა, 2016 წელს, იმის საფუძველზე, რომ 2011 წელს ის თითქოსდა რაღაცას არასწორად აკეთებდა, ისინი შემოვიდნენ უწყებაში, რომელშიც ის არ მუშაობს, სადაც ის არ ზის და გამოიძახეს მედია, რომ მედიის წინ ეთქვათ, რომ დიახ, სააკაშვილის ოფისი გავჩხრიკეთ, – განაცხადა ოდესის გუბერნატორმა.

სააკაშვილმა უკრაინის პროკურატურას მეთოდები დაუწუნა, მისი აზრით, ლუცენკოს უწყებაში ვიღაცას კრამიტი დაუცურდა.

– მსგავსი მეთოდებით და ხერხებით არ მუშაობდა არც პშონკა, არც პუტინის პროკურატურა, ჩრდილოეთ კორეაც კი დიდი ხანია, ასე აღარ მუშაობს, მე მგონი, მაგათ ცოტათი დაუცურდათ კრამიტი. უკრაინის გენერალურ პროკურორს დავუკავშირდი და სასწაული, მან არაფერი იცის ამის შესახებ. ანუ, სხვა რა ძალაა ამ ქვეყანაში ისეთი, რომელსაც ასე შეუძლია ყოველგვარი აპელაციის გარეშე განკარგულების გაცემა?

მე იმ კორუმპირებულ პირებს მინდა მივმართო, რომლებმაც ვერაფერი ისწავლეს მაიდანის მერეც, რომ მე ამ შენობაში შემოსვლის პირველივე დღეს განვაცხადე, რომ ომს ვუცხადებ კორუფციას და ამ ომს მე არ შევეშვები. მათ ჰგონიათ, რომ უკრაინელები ყველანი დებილები არიან, – ამბობს გუბერნატორი.

სააკაშვილი მის მოწინააღმდეგეებს დაჰპირდა, რომ ამ ამბავს ასე არ დატოვებს. ნაპრეზიდენტალი მათ სამსახურიდან გაყრითაც კი დაემუქრა.

– მე ამ ადამიანებისთვის ძალიან ცუდი ახალი ამბავი მაქვს – ჩვენ მზად ვართ ყველანაირი მუქარისა და ჩხრეკისთვის. მე კოსტუმიანი და ჰალსტუხიანი მთავრობიდან გავყრი, სადაც ჰგონიათ, რომ კარგად სხედან. კარგად ჩასხდებიან იქ, სადაც საჭიროა, – განაცხადა სააკაშვილმა.

ნოდარ ჯავახიშვილი: „კორცხელის“ ინციდენტი კარგადაა შესასწავლი“

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი არ ფიქრობს, რომ კორცხელში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების საქმის გამოძიება ჭიანურდება. ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ ეს საქმე კარგადაა შესასწავლი. ის ფიქრობს, რომ მომხდარი ნაციონალური მოძრაობის დაგეგმილი პროვოკაციაა:

– სულაც არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება აჭიანურებს. მე მგონია, რომ ეს სერიოზულადაა შესასწავლი. ვფიქრობ, რომ საზოგადოება და მასმედიის ნაწილი სხვა მხარეს იშვერს ხელს. მე მინდა დაველოდო გამოძიებას... ეს ერთი და ორი შემთხვევა არ არის ჩვენს უახლოეს ისტორიაში და რაც მთავარია, თუ მოუსმინეთ ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის გამოსვლას, იმდენი დემაგოგია იყო იქ, რომ ჩვენ ვიგებთ ბატონო არჩევნებს, მაშინ როცა, 9 ოლქიდან მხოლოდ 2 მოიგეს, ამისთანა დემაგოგიის მთქმელი, ბევრი რამის მკეთებელიც არის. – განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

პირველი რადიო

სპორტი

მარტინ შკრტელი ლივერპულიდან მიდის



ლივერპულის სლოვაკი მცველი მარტინ შკრტელი ზაფხულში ლივერპულის დატოვებას აპირებს. იურგენ კლოპის მისვლის შემდეგ შკრტელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ბოლო პერიოდში ის იშვიათად გამოდიოდა მოედანზე.

ამის გამო შკრტელი, რომელიც ლივერპულში 2008 წლიდან თამაშობს, ინგლისური გუნდის დატოვებას აპირებს და კარიერას სავარაუდოდ თურქეთის გრანდში, ბეშიქთაშში გააგრძელებს.

ეს ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა და თქვა, რომ შკრტელის ლივერპულიდან წასვლა 90% გადაწყვეტილი ამბავია.

თვითონ შკრტელი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

კრიშტიანო რონალდუ კარიერას რეალში დაასრულებს

მადრიდის რეალის პორტუგალიელმა სუპერ ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ რეალიდან წასვლას არ აპირებს და სურს, რომ კარიერა სწორედ ამ გუნდში დასასრულს.

სეზონის მანძილზე ხშირი იყო ჭორები იმის შესახებ, რომ რონალდუ რეალს დატოვებდა და პსჟ-ში გადავიდოდა სათამაშოდ, სადაც მას ზღაპრულ ანაზღაურებას სთავაზობდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეში კრიშტიანო ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება წელიწადში 20 მილიონ ევრომდე გაიზრდება.

რონალდუ რეალში 2009 წლის ზაფხულში მივიდა და მას შემდეგ ის ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კალეიდოსკოპი

შვილზე უარისმთქმელი დედა მას 80 წლის შემდეგ შეხვდა

ამერიკელი ქალბატონი, რომელმაც 1933 წელს შვილზე უარი თქვა, მას 80 წლის შემდეგ შეხვდა. 83 წლის დორიენ ჰამანმა 99 წლის ეილინ ვაგნერს დაურეკა და უთხრა: „გამარჯობა დედა“.

ვისკონსინის შტატში მცხოვრები გოგონა 16 წლის ასაკში გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმდა. ვაგნერს გაუჩნდა გოგონა, რომელიც გააშვილა. დაშორებულ დედა-შვილს შეხვედრაში ჰამანის რძლის ცნობისმოყვარეობა დაეხმარა, რომელმაც ნაშვილობის საბუთები შეისწავლა და ვაგნერის მისამართს ინტერნეტში მიაგნო.

ვაგნერმა და ჰამანმა რამდენჯერმე ისაუბრეს ტელეფონზე, შემდეგ კი ერთმანეთს შეხვდნენ. ბიოლოგიურმა დედამ შვილს აუხსნა, თუ როგორ მოევლინა ის ქვეყანას.

– მაშინ ეს უდიდესი სირცხვილი და თავის მოჭრა იყო, – განაცხადა მან.

– დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ ჩემს ასაკში დედა ცოცხალი მყავს. როგორც კი ამაზე ფიქრს ვიწყებ, ტანში ჟრუანტელი მივლის, – განაცხადა ჰამანმა.

ვაგნერს არასოდეს მოუყოლია მეუღლისა და შვილებისთვის საკუთარ გაუპატიურებასა და პირველ შვილზე. მისი მეუღლე 2006 წელს გარდაიცვალა, ხოლო დორიენის ზარის შემდეგ მან შვილებს ყველაფერი უამბო.

– ვფიქრობდი, რომ ეს დღე ჩემს ცხოვრებაში არასოდეს დადგებოდა, – განაცხადა ემოციებით შეპყრობილმა ვაგნერმა შვილთან შეხვედრის შემდეგ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ინდოელმა ჩახუტების მსოფლიო რეკორდი მოხსნა

ინდოეთის შტატ ანდხრა-პრადეშის მცხოვრებმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ერთი წუთის განმავლობაში ჩახუტებაში. მისი შედეგი 79 ჩახუტებაა ერთ წუთში.

იმისთვის, რომ კრიშნე კუმარს რეკორდის დამყარება მოეხერხებინა, ადგილობრივი სკოლის 88 მოსწავლე ჩადგა რიგში და მასთან მირბოდნენ. 60 წამში მამაკაცმა 83 ადამიანთან ჩახუტება მოასწრო, თუმცა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა მხოლოდ 79 ჩაუთვალეს. მათ თავიანთი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ დანარჩენი ოთხი შემთხვევა უფრო საჭიდაო ხელის ჩავლებას ჰგავდა. ჩახუტება გულისხმობდა ახლო მანძილსა და ადამიანისთვის ხელების სრულად შემოხვევას.

საკუთარ განცხადებაში კუმარმა გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას ადამიანის უმაღლესი მიღწევა უწოდა.

წინა რეკორდი 2014 წელს ავსტრალიაში იქნა დაფიქსირებული და ის ტელეწამყვანმა კერი ბიკმორმა დაამყარა, რომელმაც 60 წამში 77 ადამიანთან ჩახუტება მოასწრო.

ჯონი დეპს ცოლი შორდება

ჰოლივუდის მსახიობ ჯონი დეპის მეუღლემ, მსახიობმა ემბერ ჰერდმა განქორწინებაზე შეიტანა განცხადება. ისინი სულ რაღაც 15 თვის წინ დაქორწინდნენ.

განქორწინებაზე განცხადება ჰერდმა სასამართლოს 23 მაისს წარუდგინა და მეუღლესთან დაშორების მიზეზად „გადაუჭრელი უთანხმოებები“ დაასახელა. განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ მსახიობები ერთმანეთს 22 მაისს დაშორდნენ, ჯონი დეპის დედის გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობებს საქორწინო შეთანხმება გაფორმებული არ ჰქონიათ.

დეპმა და ჰერდმა ერთმანეთი ფილმ „რომაული დღიურის“ გადაღებებზე გაიცნეს. 2015 წლის 3 თებერვალს მსახიობებმა ოფიციალურად იქორწინეს. ცერემონია ლოს-ანჯელესში, მათ ბინაში გაიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

გორბაჩოვს 5 წლით უკრაინაში ჩასვლა აუკრძალეს

სსრკ-ის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ყირიმის ანექსიას მხარი დაუჭირა. მან განაცხადა, რომ პუტინის ადგილას თავადაც ასე მოიქცეოდა.

მიხეილ სერგეევიჩმა რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებზეც დაწვრილებით ისაუბრა. მან ფრიად გულახდილად აღნიშნა: ბევრი საშინელ კოშმარშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ უკრაინა ოდესმე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდებოდაო.

– რუსეთ-უკრაინას ყველა ერთ მთლიანობაში ხედავდა. მართალია, ამას ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა ფიქრობდა, რომ ეს ერთი ხალხია, – თქვა გორბაჩოვმა.

სსრკ-ის ექსპრეზიდენტმა ორიგინალური აღმოჩენებიც გააკეთა. მან თქვა, რომ ევროინტეგრაცია მხოლოდ დასავლეთ უკრაინას სურს. გორბაჩოვმა გულისტკივილით აღიარა: თავის დროზე უდიდესი შეცდომა დავუშვი, როცა ჯერ კიდეც 1986 წელს უკრაინის ფედერალიზაცია არ მოვახდინე და დასავლეთ უკრაინას ფართო ავტონომია არ ვუბოძეო.

– ჩვენ ვცდილობდით, განახლებული კავშირის შემადგენლობაში ერთიანი, უნიტარული უკრაინა შეგვეყვანა. ეს უმძიმესი შეცდომა იყო, – თქვა გორბაჩოვმა.

მიხეილ სერგეევიჩს მშვიდობის დამყარების საკუთარი მოდელიც გააჩნია. ესაა უკრაინის ფედერალიზაცია, შემდეგ კი მისი ხავერდოვანი დაშლა.

– თუკი არ გვსურს, რომ უკრაინა ცეცხლის ალში გაეხვიოს და ევროპის ცენტრში ახალი სირია მივიღოთ, უნდა მოხდეს უკრაინის ფედერალიზაცია. შემდეგ ამას უკრაინის ხავერდოვანი დაშლა მოჰყვება. შექმნილი ჩიხიდან სხვა გამოსავალი არ არსებობს, – ამბობს 85 წლის გორბაჩოვი.

ასეთმა გამოსვლამ უკრაინაში აღშფოთება გამოიწვია. უმაღლესი რადის დეპუტატმა ანტონ გერაშჩენკომ უშიშროების სამსახურს მიმართა წინადადებით, რომ მოქალაქე მ.ს. გორბაჩოვს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალონ.

უშიშროებამ თხოვნა დააკმაყოფილა. გორბაჩოვი ვლადიმერ ჟირინოვსკის შემდეგ მეორე რუსი პოლიტიკოსია, რომელსაც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ საჯარო მოწოდების გამო 5 წლით უკრაინაში ჩასვლა აეკრძალა

დიდი შვიდეული რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებაზე შეთანხმდა

ტოკიოში დიდი შვიდეულის შეკრება მიმდინარეობს.

განიხილეს დონბასში შექმნილი მდგომარეობა და კრიზისიდან გამოსვლის გზები. ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებები ჩაშლის პირასაა და ეს რუსეთის გამო მოხდა. გრძელდება სროლები, შეტაკებები. რუსეთიდან დონბასში უკვე არა მხოლოდ მოხალისეები, არამედ ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები შეჰყავთ.

ამის დადასტურებაა სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ნაწილში რუსეთის ეროვნული გვარდიის შეყვანა, რომელსაც წესრიგის დაცვა დაეკისრა. დიდი შვიდეულის წევრები შეთანხმდნენ, რომ რუსეთის მიმართ სანქციები გაგრძელდება. მეტიც, გამორიცხული არ არის სანქციების გაფართოება და ახალი სანქციების დაწესება.

– თუკი რუსეთი თავის აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს, ახალ სანქციებს მიიღებს! – ასეთია დიდი შვიდეულის პოზიცია.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა აღნიშნა, რომ რუსეთი აგრესიული ქმედებების გამო უნდა დაისაჯოს, თუმცა გამოსვლა მაინც ოპტიმისტურ ნოტზე დაასრულა.

– იმედი მაქვს, რომ უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში დონბასში მნიშვნელოვანი პროგრესის მოწმენი გავხდებით, – თქვა მან.

ნადეჟდა სავჩენკო: „დონბასში რუსეთ-უკრაინის ომია“

კიევში ნადეჟდა სავჩენკოს პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, დონბასის ომს როგორ აფასებთო, სავჩენკომ მიუგო:

– ეს რუსეთ-უკრაინის ომია!

სავჩენკომ ხაზი გაუსვა, რომ დონბასში რუსული რეგულარული არმია იბრძვის. ადგილობრივი სეპარატისტების რაოდენობა მცირეა. ძირითად დამრტყმელ ძალას რუსები წარმოადგენენ.

– მე უკრაინელი ჯარისკაცი ვარ და ჩემს ქვეყანას ვიცავ! რადგან რუსი ჩვენთან მახვილით მოვიდა, მახვილითვე დავხვდებით! – თქვა სავჩენკომ. ტყვეობიდან დაბრუნებულმა მფრინავმა აღნიშნა, რომ უკრაინის გამარჯვება გარდაუვალია და უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება არა მხოლოდ დონბასი, არამედ ყირიმიც.

– ყირიმს ან ომით, ან დიპლომატიური ხერხებით დავიბრუნებთ, – თქვა სავჩენკომ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როდის შეუდგებით თქვენი, როგორც დეპუტატის, მოვალეობის შესრულებასო, სავჩენკომ მიუგო, რომ მუშაობას უკვე შეუდგა, პარლამენტშიც იყო და მისი ფუნქციებიც გაირკვა.

– მე თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტში ვიმუშავებ! – განაცხადა სავჩენკომ.

პრესკონფერენცია დაიწყო და დასრულდა უკრაინის ეროვნული ჰიმნით. დარბაზიდან ვიღაცამ შესძახა:

– დიდება ერს!

სავჩენკომ მუშტი აღმართა და თქვა:

– სიკვდილი მტერს!

ამის შემდეგ შეკრებილნი დაიშალნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ობამა ხიროსიმაში ჩავა

პრეზიდენტი ობამა ხიროსიმაში ჩავა. ის პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც ამ ქალაქს ეწვევა.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ამერიკელებმა ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა განახორციელეს. ამ დროს რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი დაიღუპა. ობამა მშვიდობის პარკს ეწვევა და დაღუპულთა მემორიალზე გვირგვინს დადებს.

თეთრ სახლში ცხარე დისკუსიები მიმდინარეობდა იმაზე, თუ რამდენად დროული იყო ობამას ვიზიტი ხიროსიმაში. ყველაფერი თავად ობამამ გადაწყვიტა. მან ხიროსიმაში ჩასვლა მოისურვა.

ტრამპი რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება

მილიარდერმა დონალდ ტრამპმა საკმარისი ხმები მოაგროვა და რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა.

სავარაუდოდ, მისი მეტოქე დემოკრატი და აშშ-ის ექსპრეზიდენტის მეუღლე ჰილარი კლინტონი იქნება.

საფრანგეთი: გაფიცვების მასშტაბები იზრდება

საფრანგეთში იზრდება პროფკავშირების მიერ ორგანიზებული გაფიცვა. მისი მონაწილენი ახალ შრომით კოდექსს აპროტესტებენ. გაფიცვა მოედო უამრავ საწარმოს, ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს და ა.შ. ქუჩებში არ წყდება ახალგაზრდების შეტაკებები პოლიციასთან.

თუკი ასე გაგრძელდა, მალე მთელი ქვეყანა პარალიზებული იქნება.

ბელარუსში ოპოზიციონერთა დევნა გრძელდება

მინსკის სასამართლომ ყადაღა დაადო 67 წლის ნინა ბაგისკაიას ქონებას. მას ბრალად ოპოზიციონერთა არასანქცირებულ მიტინგებში მონაწილეობა ედება.

ბაგისკაიას დიდძალი ჯარიმა დააკისრეს. ხელისუფლება ამ თანხის ამოღებას მისი ქონებიდან ცდილობს.

ბელარუსში ოპოზიციონერთა დევნა გრძელდება.

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასაღევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

კოპა ამერიკა ნეიმარს მოისაკლისებს

ცხელი ზაფხული ელით ფეხბურთის გულშემატკივრებს – ბებერ კონტინენტზე ევროპის ჩემპიონატია, ოკეანის გაღმა კი – კოპა ამერიკა.

წლევანდელი კოპა გამორჩეული იქნება – ტურნირი მეასედ ტარდება და პირველად ჩატარდება სამხრეთ ამერიკის გარეთ. 3-26 ივნისს სენტენაროის ამერიკის შეერთებული შტატების 10 ქალაქი უმასპინძლებს.

კოპას 10 ქვეყანა კონმებოლის წარმომადგენელია, ხოლო 6 – კონკაკაფის. თუ აქამდე სამხრეთამერიკელები 2 ნაკრებს (მექსიკასა და აშშ-ს) პატიჟებდნენ, ახლა ერთბაშად 6 „სტუმარია“.

გასული კოპას ჩემპიონი ჩილეს ნაკრებია, თუმცა ტურნირის მთავარ ფავორიტებად, ტრადიციულად, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ნაკრებები რჩებიან.

არგენტინის ნაკრები საბრძოლო შემადგენლობითაა, რომლის ლიდერიც ლიონელ მესი იქნება. ტრავმა მიიღო ლუის სუარესმა, რომლის თამაშიც ურუგვაის ნაკრებში საეჭვოა, ხოლო ნეიმარი ნამდვილად ვერ ითამაშებს, რადგან ბარსელონა ბრაზილიელს მხოლოდ ოლიმპიადაზე გაუშვებს.

ფინალი 26 ივნისს ნიუ ჯერსიში გაიმართება.

დადგინდა გუნდების 23-კაციანი განაცხადები, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ.

ა ჯგუფი

კოლუმბია

მეკარეები: დავიდ ოსპინა (არსენალი, ინგლისი), რობინსონ საპატა (სანტა ფე), კრისტიან ბონილია (ატლეტიკო ნასიონალი)

მცველები: კრისტიან საპატა (მილანი, იტალია), სტეფან მედინა, ოსკარ მურილიო (ორივე პაჩუკა, მექსიკა), სანტიაგო არიასი (პსვ, ჰოლანდია), ფარიდ დიასი, ფელიპე აგილარი (ორივე ატლეტიკო ნასიონალი), ფრანკ ფაბრა (ბოკა, არგენტინა), ჯეისონ მურილიო (ინტერი, იტალია);

ნახევარმცველები: გილერმო სელისი (ხუნიორი), კარლოს სანჩესი (ასტონ ვილა, ინგლისი), ედვინ კარდონა (მონტერეი, მექსიკა), ხამეს როდრიგესი (რეალი, ესპანეთი), ხუან კუადრადო (იუვენტუსი, იტალია), სებასტიან პერესი (ატლეტიკო ნასიონალი), დანიელ ტორესი (მედელინი), ანდრეს ფელიპე როა (დეპორტივო კალი)

თავდამსხმელები: კარლოს ბაკა (მილანი, იტალია), როხერ მარტინესი (რასინგი, არგენტინა), დაირო მორენო (ტიხუანა, მექსიკა), მარლოს მორენო (ატლეტიკო ნასიონალი);

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი (არგენტინა)

კოსტა რიკა

მეკარეები: კეილორ ნავასი (რეალი, ესპანეთი), პატრიკ პემბერტონი (ალაჰუელენსე), ლეონელ მორეირა (ერედიანო);

მცველები: მაიკლ უმანია (პერსეპოლისი), კრისტიან გამბოა (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ჯონი აკოსტა (ალახუელენსე), ოსკარ დუარტე (ესპანიოლი, ესპანეთი), ბრაიან ოვიედო (ევერტონი, ინგლისი), ხოსე სალვატიერა (ალახუელენსე), ფრანსისკო კალვო (დეპორტივო საპრისა), რონალდ მატარიტა (ნიუ იორკ სიტი, აშშ), კენდალ უოტსონი (ვანკუვერი, კანადა);

ნახევარმცველები: სელსო ბორხესი (დეპორტივო, ესპანეთი), კრისტიან ბოლანოსი (ვანკუვერი, კანადა), რენდალ ასოფეიფა (ერედიანო), იელცინ ტეხედა (ევიანი, საფრანგეთი), იოჰან ვენეგასი (მონრეალი, კანადა), ოსკარ გრანადოსი (ედერიანო);

თავდამსხმელები: ალვარო საბორიო (დი სი, აშშ), ბრაიან რუისი (სპორტინგი, პორტუგალია), ჯოელ კემპბელი (არსენალი, ინგლისი), მარკო ურენია (მიდტიულანდი, დანია), არიელ როდრიგესი (ბანგკოკი, ტაილანდი);

მწვრთნელი: ოსკარ რამირესი

პარაგვაი

მეკარეები: ხუსტო ვილიარი (კოლო-კოლო, ჩილე), ანტონი სილვა (სერო პორტენიო), დიეგო ბარეტო (ოლიმპია);

მცველები: პაულო და სილვა (ტოლუკა, მექსიკა), მიგელ სამუდიო, პაბლო აგილარი (ორივე ამერიკა, მექსიკა), გუსტავო გომესი (ლანუსი, არგენტინა), ბრუნო ვალდესი (სერო პორტენიო), ფაბიან ბალბუენა (კორინთიანსი, ბრაზილია), ბლას რივეროსი (ოლიმპია);

ნახევარმცველები: ნესტორ ორტიგოსა (სან ლორენსო, არგენტინა), ოსკარ რომერო (რასინგი, არგენტინა), სელსო ორტისი (ალკმაარი, ჰოლანდია), ხუან როდრიგო როხასი (სერო პორტენიო), მიგელ ალმირონი (ლანუსი, არგენტინა), რობერტ პირის და მოტა (ოლიმპია);

თავდამსხმელები: ნელსონ ვალდესი (სიეტლი, აშშ), ედგარ ბენიტესი (კერეტარო, მექსიკა), დერლის გონსალესი (დინამო, უკრაინა), დარიო ლესკანო (ინგოლშტადტი, გერმანია), ხორხე ბენიტესი (კრუს ასული, მექსიკა), ანტონიო სანაბრია (ხიხონი, ესპანეთი), ხუან იტურბე (ბორნმუთი, ინგლისი);

მწვრთნელი: რამონ დიასი (არგენტინა)

აშშ

მეკარეები: ბრედ გუზანი (ასტონ ვილა, ინგლისი), ტიმ ჰოვარდი (ევერტონი, ინგლისი), ეთან ჰორვატი (მოლდე, ნორვეგია);

მცველები: დეანდრე იედლინი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივ ბირნბაუმი (დი სი), მეტ ბესლერი (კანზას სიტი), ჯონ ბრუკსი (ჰერტა, გერმანია), მაიკლ ოროზკო (ტიხუანა, მექსიკა), ჯეოფ კამერონი (სტოკ სიტი, ინგლისი), ტიმოთი ჩენდლერი (აინტრახტი, გერმანია), ფაბიან ჯონსონი (გლადბახი, გერმანია);

ნახევარმცველები: მაიკლ ბრედლი (ტორონტო, კანადა), დარლინგტონ ნაგბე (პორტლენდი), ალეხანდრო ბედოია (ნანტი, საფრანგეთი), ჯერმეინ ჯონსი (კოლორადო), კაილ ბეკერმანი (სოლტ ლეიკი), პერი კიტჩენი (ჰართსი, შოტლანდია), გრეგ ზუსი (კანზას სიტი);

თავდამსხმელები: ბობი ვუდი (ჰამბურგი, გერმანია), კლინტ დემპსი (სიეტლი), გიასი ზარდესი (ლოს ანჯელეს გალექსი), კრისტიან პულიშიჩი (დორტმუნდი, გერმანია), კრის ვონდოლოვსკი (სან ხოსე);

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი (გერმანია)

4 ივნისი: აშშ-კოლუმბია (04:30)
5 ივნისი: კოსტა რიკა-პარაგვაი (00:00)
8 ივნისი: აშშ-კოსტა რიკა (03:00)
8 ივნისი: კოლუმბია-პარაგვაი (05:30)
12 ივნისი: აშშ-პარაგვაი (02:00)
12 ივნისი: კოლუმბია-კოსტა რიკა (04:00)

ბ ჯგუფი

ბრაზილია

მეკარეები: ალისონი (ინტერნასიონალი), დიეგო ალვეში (ვალენსია, ესპანეთი), ედერსონი (ბენფიკა, პორტუგალია);

მცველები: დანი ალვეში (ბარსელონა, ესპანეთი), მირანდა (ინტერი, იტალია), ჟილი (შანდონი, ჩინეთი), ფილიპე ლუიში (ატლეტიკო, ესპანეთი), მარკინიოსი (პსჟ, საფრანგეთი), როდრიგო კაიო (სან პაულო), ფაბინიო (მონაკო, საფრანგეთი), დუგლას სანტოსი (ატლეტიკო მინეირო);

ნახევარმცველები: კაზემირო (რეალი, ესპანეთი), დუგლას კოშტა (ბაიერნი, გერმანია), ელიასი (კორინთიანსი), ლუკას ლიმა (სანტოსი), ლუის გუსტავო (ვოლფსბურგი, გერმანია), რენატო აუგუსტო (ბეიჯინი, ჩინეთი), ვილიანი (ჩელსი, ინგლისი), რაფინია (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპე კოუტინიო (ლივერპული, ინგლისი);

თავდამსხმელები: ჟონასი (ბენფიკა, პორტუგალია), გაბრიელი (სანტოსი), ჰალკი (ზენიტი, რუსეთი);

მწვრთნელი: დუნგა

ეკვადორი

მეკარეები: ალექსანდერ დომინგესი (ლდუ), მაქსიმო ბანგერა (ბარსელონა), ესტებან დრეერი (ემელეკი);

მცველები: ვალტერ აიოვი (მონტერეი, მექსიკა), ხუან კარლოს პარედესი (უოტფორდი, ინგლისი), ფრიკსონ ერასო (ატლეტიკო მინეირო, ბრაზილია), გაბრიელ აკილიერი (ემელეკი), არტურო მინა (ინდეპენდიენტე), კრისტიან რამირესი (ფერენცვაროში, უნგრეთი), რობერტ არბოლედა (უნივერსიტატია კატოლიკა);

ნახევარმცველები: ანტონიო ვალენსია (მანჩესტერი, ინგლისი), კრისტიან ნობოა (როსტოვი, რუსეთი), ჯეფერსონ მონტერო (სუონსი, ინგლისი), მაიკლ აროიო (ამერიკა, მექსიკა), ფიდელ მარტინესი (უნამ, მექსიკა), ხუან კასაერესი (ატლეტიკო მინეირო, ბრაზილია), კარლოს გრუესო (დალასი, აშშ), ანხელ მენა, ფერნანდო გაიბორი (ორივე ემელეკი), პედრო ლარეა (ელ ნასიონალი);

თავდამსხმელები: ხაიმე აიოვი (გოდოი კრუსი, არგენტინა), ენერ ვალენსია (ვესტ ჰემი, ინგლისი), მილერ ბოლანოსი (გრემიო, ბრაზილია);

მწვრთნელი: გუსტავო კინტეროსი (ბოლივია)

ჰაიტი

მეკარეები: ჯონი პლასიდე (რეიმსი, საფრანგეთი), სტიუარტ სეუსი (მინესოტა, აშშ), ლუის ოდელუსი (ეგლ ნუარი);

მცველები: რომენ ჟენევუა (ნიცა, საფრანგეთი), ჟუდლენ ავესკა (ატლეტიკო ურუგვაი, არგენტინა), მეხაკ ჟერომი (ჯექსონვილი, აშშ), სტეფან ლამბესი (პსჟ 2, საფრანგეთი), რეჟინალ გორუ (სტანდარდი, ბელგია), ჟან ალკენა (ვოლუნტარი, რუმინეთი), კიმ ჟაგი (აარაუ, შვეიცარია), ალექს კრისტიანი (ვილა რეალი, პორტუგალია);

ნახევარმცველები: კევინ ლაფრანსი (გლოგოვი, პოლონეთი), ჟან ალექსანდრი (ფორტ ლოდერდეილი, აშშ), მაქს ილარი (შოლე, საფრანგეთი), სონი მუსტივარი (კანზასი, აშშ), პასკალ მილიენი (ჯესქონვილი, აშშ), სონი ნორდი (ბაგანი, ინდოეთი), ჯეიმს მარსელინი (კაროლინა, აშშ);

თავდამსხმელები: ჟან მორისი (საიგონი, ვიეტნამი), კელვენს ბელფორი (ტრაბზონი, თურქეთი), დუკენს ნაზონი (ლავალი, საფრანგეთი), ჯეფ ლუისი (კაენი, საფრანგეთი), ვაილდ-დონალს გურიე (ვისლა, პოლონეთი);

მწვრთნელი: პატრის ნევო (საფრანგეთი)

პერუ

მეკარეები: პედრო გალესე (ხუან აურიჩი), დიეგო პენი (კრისტალი), კარლოს კასედა (უნივერსიტარიო);

მცველები: იოშიმარ იოტუნი (მალმიო, შვედეთი), ხაირ სესპედესი, ალბერტო როდრიგესი, ლუის აბრამი (ყველა კრისტალი), კრისტიან რამოსი (ხუან აურიჩი), ალდო კორსო (დეპორტივო მუნისიპალი), მიგელ ტრაუკო (უნივერსიტარიო), მიგელ არაუხო (ალიანსა);

ნახევარმცველები: კრისტიან კუევა (ტოლუკა, მექსიკა), ადან ბალბინი (უნივერსიტარიო), კრისტიან ბენავენტე (შარლეროუ, ბელგია), რენატო ტაპია (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ოსკარ ვილჩესი (ალიანსა), ლუის და სილვა (პსვ 2, ჰოლანდია), არმანდო ალფაგემე (დეპორტივო მუნისიპალი), ალეხანდრო ჰოჰბერგი (უნივერსიდადი);

თავდამსხმელები: პაულო გერერო (ფლამენგო, ბრაზილია), რაულ რუიდიასი, ედისონ ფლორესი, ანდი პოლო (ყველა უნივერსიტარიო);

მწვრთნელი: რიკარდო გარეკა (არგენტინა)

5 ივნისი: ჰაიტი-პერუ (02:30)
5 ივნისი: ბრაზილია-ეკვადორი (05:00)
9 ივნისი: ბრაზილია-ჰაიტი (02:30)
9 ივნისი: ეკვადორი-პარუ (05:00)
13 ივნისი: ეკვადორი-ჰაიტი (01:30)
13 ივნისი: ბრაზილია-პერუ (03:30)

გ ჯგუფი

იამაიკა

მეკარეები: ანდრე ბლეიკი (ფილადელფია, აშშ), დუეინ კერი (სარპსბორგი, ნორვეგია), რაიან ტომპსონი (სენტ ლუისი, აშშ);

მცველები: როსარიო არიო (ჰარბორ ვიუ), მაიკლ ჰექტორი (ჩელსი, ინგლისი), კემარ ლოურენსი (რედ ბულსი, აშშ), ადრიან მარიაპა (კრ.პალასი, ინგლისი), ვეს მორგანი (ლესტერი), დამანო სოლომონი (პორტმორი), ჯერმეინ ტეილორი (პორტლენდი)

ნახევარმცველები: როდოლფ ოსტინი (ბრონდბიუ, დანია), მაიკლ ბინსი (პორტმორი), ჩევონ მარში (კავალიერი), ჯობი მაკანუფი (ლეიტონი, ინგლისი), მარათ მაკლირი (რედინგი, ინგლისი), ენდრიუ ვანსი (ლაიონსი), უე-ვონ უოტსონი (ნიუ ინგლენდი, აშშ), ლი ვილიამსონი (ბლექბერნი, ინგლისი);

თავდამსხმელები: ჟილ ბარნსი (ჰიუსტონი, აშშ), დევერ ორგილი (იფკ, ფინეთი), კლეიტონ დონალდსონი (ბირმინგემი, ინგლისი), ალან ოტი (მონტეგო), საიმონ დოუკინსი (სან ხოსე, აშშ);

მწვრთნელი: ვინფრიდ შეფერი (გერმანია)

მექსიკა

მეკარეები: გილერმო ოჩოა (მალაგა, ესპანეთი), ხოსე კორონა (კრუს ასული), ალფრედო ტალავერა (ტოლუკა);

მცველები: რაფაელ მარკესი (ატლასი), ექტორ მორენო (პსვ, ჰოლანდია), პაულ აგილარი (ამერიკა), ხორხე ტორეს ნილო (უანლი), მიგელ ლაიუნი (პორტუ, პორტუგალია), დიეგო რეიესი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), ნესტორ არაუხო (ლაგუნა), იასერ კორონა (კერეტარო);

ნახევარმცველები: ანდრეს გუარდადო (პსვ, ჰოლანდია), ექტორ ერერა (პორტუ, პორტუგალია), კარლოს პენია (გვადალახარა), ხესუს მოლინა (ლაგუნა), ხესუს დუენიასი, ხავიერ აკინო, იურგენ დამი (ყველა უანლი);

თავდამსხმელები: ხავიერ ერნანდესი (ლევერკუზენი, გერმანია), ორიბე პერალტა (ამერიკა), რაულ ხიმენესი (ბენფიკა, პორტუგალია), ხესუს კორონა (პორტუ, პორტუგალია), ირვინგ ლოსანო (პაჩუკა);

მწვრთნელი: ხუან კარლოს ოსორიო (კოლუმბია)

ურუგვაი

მეკარეები: ფერნანდო მუსლერა (გალათასარაი, თურქეთი), მარტინ სილვა (ვასკო, ბრაზილია), მარტინ კამპანია (ინდეპენდიენტე, არგენტინა);

მცველები: მაქსი პერეირა (პორტუ, პორტუგალია), დიეგო გოდინი (ატლეტიკო, ესპანეთი), ალვარო პერეირა (ხეტაფე, ესპანეთი), ხორხე ფუსილე (ნასიონალი), მაურისიო ვიქტორინო (ნასიონალი), გასტონ სილვა (ტორინო, იტალია);

ნახევარმცველები: კრისტიან როდრიგესი (ინდეპენდიენტე), ეგიდიო არევალო რიოსი, ალვარო გონსალესი (ორივე ატლასი, მექსიკა), ნიკოლას ლოდეირო (ბოკა, არგენტინა), გასტონ რამირესი (მიდლსბრო, ინგლისი), კარლოს სანჩესი (მონტერეი, მექსიკა), მატიას კორუხო (დე ჩილე, ჩილე), მატიას ვესინო (ფიორენტინა, იტალია);

თავდამსხმელები: ლუის სუარესი (ბარსელონა, ესპანეთი), ედინსონ კავანი (პსჟ, საფრანგეთი), კრისტიან სტუანი (მიდლსბრო, ინგლისი), აბელ ერნანდესი (ჰალი, ინგლისი), დიეგო როლანი (ბორდო, საფრანგეთი);

მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი

ვენესუელა

მეკარეები: დანი ერნანდესი (ტენერიფე, ესპანეთი), ხოსე კონტრერასი (დეპორტივო ტახირა), ვუილკერ ფარინიესი (კარაკასი);

მცველები: ოსვალდო ვისკარონდო (ნანტი, საფრანგეთი), რობერტო როსალესი (მალაგა, ესპანეთი), ალექსანდერ გონსალესი (უესკა, ესპანეთი), ხოსე მანუელ ველასკესი (აროუკა, პორტუგალია), როლფ ფელტ შერი (დუისბურგი, გერმანია), ვილკერ ანხელი (დეპორტივო ტახირა), მიკელ ვილანუევა (მალაგუენა, ესპანეთი);

ნახევარმცველები: ტომას რინკონი (ჯენოა, იტალია), ლუის მანუელ სეიხასი (სანტა ფე, კოლუმბია), ალეხანდრო გუერა (ატლეტიკო ნასიონალი, კოლუმბია), რომულო ოტერო (უაჩიპატო, ჩილე), არქიმედეს ფიგერა (ლა გუაირა), ხუან პაბლო ანიორი (მალაგა, ესპანეთი), იანხელ ერერა (ატლეტიკო ვენესუელა), კარლოს სუარესი (კარაბოდო), ადალბერტო პენიარანდა (უოტფორდი, ინგლისი);

თავდამსხმელები: სალომონ რონდონი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ხოსეფ მარტინესი (ტორინო, იტალია), იონათან დელ ვალე (ქასიმფაშა, თურქეთი), კრისტიან სანტოსი (ნეიმეგენი, ჰოლანდია);

მწვრთნელი: რაფაელ დუდამელი

6 ივნისი: იამაიკა-ვენესუელა (00:00)
6 ივნისი: მექსიკა-ურუგვაი (03:00)
10 ივნისი: ურუგვაი-ვენესუელა (02:30)
10 ივნისი: მექსიკა-იამაიკა (05:00)
14 ივნისი: მექსიკა-ვენესუელა (03:00)
14 ივნისი: ურუგვაი-იამაიკა (05:00)

დ ჯგუფი

არგენტინა

მეკარეები: სერხიო რომერო (მანჩესტერი, ინგლისი), ნაუელ გუსმანი (უანლი, მექსიკა), მარიანო ანდუხარი (ესტუდიანტესი);

მცველები: გაბრიელ მერკადო, მაიდანა, ხონათან (ყველა რივერ პლეიტი), ნიკოლას ოტამენდი (სიტი, ინგლისი), ფაკუნდო რონკალია (ფიორენტინა, იტალია), მარკოს როხო (მანჩესტერი, ინგლისი), რამირო ფუნეს მორი (ევერტონი, ინგლისი), ვიკტორ კუესტა (ინდეპენდიენტე);

ნახევარმცველები: ხავიერ მასკერანო (ბარსელონა, ესპანეთი), ლუკას ბილია (ლაციო, იტალია), აუგუსტო ფერნანდესი, მატიას კრანევიტერი (ორივე ატლეტიკო, ესპანეთი), ევერ ბანეგა (სევილია, ესპანეთი), ანხელ დი მარია, ხავიერ პასტორე (ორივე პსჟ, საფრანგეთი), ერიკ ლამელა (ტოტენჰემი, ინგლისი), ნიკოლას გაიტანი (ბენფიკა, პორტუგალია);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), სერხიო აგუერო (სიტი, ინგლისი), გონსალო იგუაინი (ნაპოლი, იტალია), ესეკიელ ლავეცი (ჰებეი, ჩინეთი);

მწვრთნელი: ხერარდო მარტინო

ბოლივია

მეკარეები: რომელ კინიონესი (ბოლივარი), კარლოს ლამპე (სპორტ ბოისი), გილერმო ვისკარა (ორიენტე);

მცველები: ლუის ალბერტო გუტიერესი (ირონი, ისრაელი), მარვინ ბეხარანო (ორიენტე), ედვარდ სენტენო (ხორხე ვილსტერმანი), დიეგო ბეხარანო (სტრონგესტი),რონალდ ეგინო, ერვინ საავედრა, ნელსონ კაბრერა (ყველა ბოლივარი);

ნახევარმცველები: ჟასმანი კამპოსი (კაზმა, ქუვეითი), ვალტერ ვეისაგა, რაულ კასტრო (ორივე სტრონგესტი), ალეხანდრო მელანი, პედრო ასოგე (ორივე ორიენტე), მარტინ სმედბერგი (გეტებორგი, შვედეთი), სამუელ გალინდო (პეტროლერო), ფერნანდო საუსედო, კრისტიან მაჩადო (ორივე ხორხე ვილსტერმანი);

თავდამსხმელები: ხუან კარლოს არსე (ხორხე ვილსტერმანი), როდრიგო რამალიო (სტრონგესტი), იასმანი დუკი (კოსმოსი, აშშ), ბრუნო მირანდა (დე ჩილე, ჩილე);

მწვრთნელი: ხულიო სესარ ბალდივესო

ჩილე

მეკარეები: კლაუდიო ბრავო (ბარსელონა, ესპანეთი), ჯონი ერერა (დე ჩილე), კრისტოფერ ტოსელი (კატოლიკა);

მცველები: გარი მედელი (ინტერი, იტალია), გონსალო ხარა (დე ჩილე), ჟან ბოსეჟური (კოლო-კოლო), მაურისიო ისლა (მარსელი, საფრანგეთი), ეუგენიო მენა (სან პაულო, ბრაზილია), ხოსე ფუენსალიდა (კატოლიკა), ენსო როკო (ესპანიოლი, ესპანეთი);

ნახევარმცველები: არტურო ვიდალი (ბაიერნი, გერმანია), მატიას ფერნანდესი (ფიორენტინა, იტალია), მარსელო დიასი, პაბლო ერნანდესი (ორივე სელტა, ესპანეთი), ჩარლეს არანგისი (ლევერკუზენი, გერმანია), ფრანსისკო სილვა (ჩიაპასი), ერიკ პულგარი (ბოლონია, იტალია);

თავდამსხმელები: ალექსის სანჩესი (არსენალი, ინგლისი), ედუარდო ვარგასი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), მაურისიო პინილია (ატალანტა, იტალია), ფაბიან ორელიანა (სელტა, ესპანეთი), ედსონ პუხი (ლდუ, ეკვადორი), ნიკოლას კასტილიო (კატოლიკა);

მწვრთნელი: ხუან ანტონიო პიცი (ესპ)

პანამა

მეკარეები: ხაიმე პენედო (საპრისა, კოსტა რიკა), ხოსე კალდერონი (პლატენსე, ჰონდურასი), ალექს როდრიგესი (სან ფრანსისკო);

მცველები: ფელიპე ბალოი (ატლასი, მექსიკა), ლუის ენრიკესი (ტაურო), ადოლფო მაჩადო (საპრისა, კოსტა რიკა), ჰაროლდ კამინგსი (ალახუელენსე, კოსტა რიკა), ერიკ დევისი (სტრედა, სლოვენია), როდერიკ მილერი (სან ფრანსისკო), ფიდელ ესკობარი (სპორტინგი);

ნახევარმცველები: გაბრიელ გომესი (კარტახინესი, კოსტა რიკა), ამილკარ ენრიკესი (დე კალი, კოლუმბია), ალბერტო კინტერო (სან ხოსე, აშშ), არმანდო კუპერი (არაბე), ანიბალ გოდოი (სან ხოსე, აშშ), რიკარდო ბუიტრაგო (ხუან აურიჩი, პერუ), ვალენტინ პიმენტელი (ლა ეკიდადი, კოლუმბია);

თავდამსხმელები: ბლას პერესი (ვანკუვერი, კანადა), ლუის ტეხადა (ხუან აურიჩი, პერუ), გაბრიელ ტორესი (სამორა, ვენესუელა), რობერტო ნურსე (საკატეკასი, მექსიკა), აბდიელ აროიო (სპლიტი, ხორვატია), ისმაელ დიასი (პორტუ 2, პორტუგალია);

მწვრთნელი: ერნან დარიო გომესი (კოლუმბია)

7 ივნისი: პანამა-ბოლივია (02:00)
7 ივნისი: არგენტინა-ჩილე (05:00)
11 ივნისი: ჩილე-ბოლივია (02:00)
11 ივნისი: არგენტინა-ჩიკაგო (04:30)
15 ივნისი: ჩილე-პანამა (03:00)
15 ივნისი: არგენტინა-ბოლივია (05:00)

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ორშაბათი 30 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "ბანქოს სახლი" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "ექსპრესი"

08.00 დ/ფ "ზეთი სიამაყე" 09.00 დ/ფ "ალის პირისპირ" 10.40 დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" 11.10 ქართ. მხ/ფ "ნინო" 12.30 დ/ფ "თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" 13.00 დ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი იერიში აფრიკაზე" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 03.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.30 სერ. "ვენდეტა" 3 სერ. 01.45 მხ/ფ "მრბოლელი" 04.00 მხ/ფ "ტალღებთან მოთამაშე"

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 22.00 X-ფაქტორი 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00 სერ. "გრეის ანატომია" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.40 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ

